# შირაქი

SHIRAKI

გამოცემის 85-ე წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№25 (10.033)

16-23 ივლისი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# საჩუქარი — წარჩინებული სწავლისთვის

## წინა წლებში გამოვლენილმა მოსწავლეებმა დაგვიანებული კომპიუტერები ახლა მიიღეს

პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“ სკოლებში კვლავაც გრძელდება. დედოფლისწყაროს საჯარო სკოლებში ახალი კომპიუტერი წელს საჩუქრად 69 მოსწავლემ მიიღო. დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ეთერ ზურიკაშვილი გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ პანდემიის დროს დაწესებული შეზღუდვების გამო გასულ წლებში კომპიუტერების გადაცემა ვერ შედგა, რის გამოც წინა წლებში გამოვლენილმა წარჩინებულმა მოსწავლეებმაც სამინისტროს საჩუქარი ახლა მიიღეს.

**ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა — 19 მოსწავლე;**

**ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა — 9 მოსწავლე;**

**სამრეკლოს საჯარო სკოლა — 9 მოსწავლე;**

**ზემო ქედის №2 საჯარო სკოლა — 7 მოსწავლე;**

**არხილოსკალოს საჯარო სკოლა — 6 მოსწავლე;**

**ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა — 6 მოსწავლე;**

**ხორნაბუჯის საჯარო სკოლა — 5 მოსწავლე;**

**არბოშიკის საჯარო სკოლა — 3 მოსწავლე;**

**გამარჯვების საჯარო სკოლა — 2 მოსწავლე;**

**ქვემო ქედის საჯარო სკოლა — 2 მოსწავლე;**

**ზემო ქედის №1 საჯარო სკოლა — 1 მოსწავლე.**

ეთერ ზურიკაშვილი: „2021-2022 სასწავლი წელი, მოგეხსენებათ, მაინც კოვიდის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვებით, ექსტრემალურ სიტუაციში მიმდინარეობდა. წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 204-მა მოსწავლემ დაამთავრა სკოლა. აქვე გეტყვით, რომ პირველ კლასში ჩასარიცხად დარეგისტრირდა 227 მოსწავლე, მიღებულია ბუკები და უკვე დარიგდა ყველა სკოლაში. წლევანდელი სასწავლო წლის ბოლოს, წარჩინებული მოსწავლე პროგრამა ,,ჩემი პირველი კომპიუტერის “ფარგლებში კიდევ მიიღებს კომპიუტერებს. შედეგების მიხედვით, ასეთი 28 მოსწავლე გამოვლინდა, რომელთაც შემდგომში გადაეცემათ სამინისტროს საჩუქარი. ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი 35 მოსწავლეა, მუნიციპალიტეტიდან წარდგენილია 35 კანდიდატი, აქედან 29 ოქროს მედალოსანი, 6 - ვერცხლის მედალოსანი. მაგრამ ეს მაჩვენებელი საბოლოოდ დაზუსტებული არ არის, რადგან რესურსცენტრი ამ მონაცემებს აგვისტოში აზუსტებს. ივნისის ბოლოს ყველა საჯარო სკოლაში ფარული კენჭისყრით გაიმართა სამეურვეო საბჭოს არჩევნები. ამ დროისთვის ყველა სკოლაში დაკომპლექტებულია სამეურვეო საბჭეების ახალი შემადგენლობა, მათ კი თავის მხრივ უკვე აირჩიეს საბჭოს თავმჯდომარეები. შემდგომში საბჭო 6 წლის ვადით ირჩევს სკოლის დირექტორებს. ჯერ არ დასრულებულა სამთაწყაროს საჯარო სკოლის შენობის ფუნდამენტური განახლების სამუშაოები. იმედი გვაქვს შემდგომი სასწავლო წლისთვის მოესწრება. იგეგმება სხვა სკოლების რეაბილიტაციაც, ოზაანში კი ახალი სკოლის მშენებლობა. ოზაანისთვის ეს დიდი ხნის ნანატრი ოცნებაა. ყველაზე ცუდი ვითარება ამ სოფელში გვქონდა. უკვე შეირჩა საუკეთესო ადგილი და უახლოეს მომავალში კონკრეტულ სამუშაოებს ვნახავთ“.

გასულ კვირას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები ზოგიერთ სკოლაში კომპიუტერების გადაცემის ცერემონიას დაესწრნენ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გოჩა სამუკაშვილმა ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის დირექტორთან, ეთერ ოთარაშვილთან ერთად ამავე სკოლის 19 წარჩინებულ მოსწავლეს ლეპტოპები პირადად გადასცეს.

„გულწრფელად მიხარია, რომ მხოლოდ ერთ საჯარო სკოლას ამდენი წარჩინებული მოსწავლე ჰყავს. მჯერა, რომ ეს წარმატება არის მხოლოდ დასაწყისი და თქვენი შრომით კიდევ ბევრი გამარჯვების მიღწევას შეძლებთ, დაგროვილ ცოდნას კი თქვენი მშობლიური მუნიციპალიტეტისა და სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვას მოახმართ“- ამ სიტყვებით მიმართა ახალგაზრდებს ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

„შირაქი“ წარმატებულ მოსწავლეებსაც ესაუბრა და მათი შთაბეჭდილებები მოისმინა:

„საოცრად ემოციური დღე იყო სსიპ ქ. დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლაში, წარმატებულ მოსწავლეებს გადაეცათ საჩუქრად კომპიუტერები, ეს სიხარული ერთად გავიზიარეთ მასწავლებლებმა, მშობლებმა, ჩვენმა საამაყო მოსწავლეებმა. გვჯერა, კიდევ ბევრჯერ იამაყებს სკოლა მათი წარმატებებით. დაჯილდოვებული მოსწავლეები არიან: გიგი არაბული, ანა ნასრაშვილი, საბა წიკლაური, ბარბარე ცისკარაული, ეკატერინე მეხრიშვილი, ნიკა კოხტაშვილი, ლანა მენთეშაშვილი, ანასტასია ჩუბინიძე და სალომე ბენაშვილი,“– განუცხადეს „შირაქს“ №2 სკოლაში.

„მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდი ხანი გვალოდინეს, მაინც დასამახსოვრებელი და საკმაოდ ამაღელვებელი იყო ეს დღე ჩემთვის. მინდა მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, რომელმაც შეიტანა წვლილი ჩემს ამ წარმატებაში, განსაკუთრებით კი, დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლას. სახელმწიფოს ასეთი საჩუქარი, ცხადია მაძლევს უფრო მეტი წარმატებისა და წინსვლის მოტივაციას,“ - განუცხადა „შირაქს“ მეორე სკოლის მოსწავლემ, ეკატერინე მეხრიშვილმა.

ლეპტოპების გადაცემა პროგრამის - „ჩემი პირველი კომპიუტერი“- ფარგლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ ხორციელდება.

ილია მარტყოფლიშვილი

C M Y K

## შალვა პაპუაშვილი „მთავარი არხის“ თანამშრომელთა შესაძლო უნებართვო მოსმენაზე - ეჭვები შეიძლება არსებობდეს და შესაბამისი ორგანო შესაბამის პროცედურებს დაიწყებს

პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის განცხადებით, „მთავარი არხის” ჟურნალისტებისა და პროდიუსერის სავარაუდო საუბრის ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით უკანონო მიყურადებაზე შესაძლოა ეჭვები არსებობდეს და ამაზე პროცედურებს შესაბამისი ორგანო დაიწყებს, თუ მონაცემებს სანდოდ ჩათვლის.

კითხვაზე, არის თუ არა გამოძიების დაწყების აუცილებლობა, ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „თავისუფალ სტუდიაში“ პაპუაშვილი ამბობს, რომ „მან, ვისი კომპეტენციაცაა, უნდა განსაზღვროს რამდენადაა ამის საფუძველი“.

„სიმართლე გითხრათ, ვერც შინაარსი, ვერც ფორმა ვერ მივხვდი, რა იყო. არც შინაარსი იყო, არც ფორმა. [უკანონო მიყურადებაზე] ეჭვები შეიძლება არსებობდეს და ამისთვის შესაბამისი ორგანო, პროკურატურა არსებობს, რომელიც იმის მიხედვით, რამდენად სანდოდ ჩათვლის ამ მონაცემებს, დაიწყებს შესაბამის პროცედურებს. მე ვერც შინაარსიდან და ვერც ფორმიდან, ვერანაირი დასკვნა ვერ გამოვიტანე“,- განაცხადა პაპუაშვილმა.

შეგახსენებთ, გიორგი გაჩეჩილაძემ გადაცემაში 13 ივლისს ჩანაწერი გაავრცელა, რომელიც, “მთავარი არხის” ერთ-ერთი გადაცემის სარედაქციო ჯგუფის საუბარს ეხება. ჩანაწერის ფიგურანტები ვარაუდობენ, რომ საუბარი უკანონოდ, სუს-მა ჩაიწერა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა “მთავარი არხის” თანამშრომელთა შორის გამართული საუბრის შესაძლო უნებართვო მიყურადებისა და ჩაწერის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.

## ილია დარჩიაშვილი ნატოს სამეთვალყურეო ოფისის ხელმძღვანელს შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილსა და ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელ ალექსანდრ ვინნიკოვს შორის შეხვედრა გაიმართა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, მხარეებმა განიხილეს საქართველო-ნატო-ს თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები, ქვეყნის ალიანსში ინტეგრაციის პროცესი და არსებული მექანიზმები, მათ შორის, საქართველოს წლიური ეროვნული პროგრამა.

ასევე, ისაუბრეს ნატო-ს 2022 წლის მადრიდის სამიტის შედეგებზე, საქართველოს კონტექსტში სამიტის გადაწყვეტილებებისა და ნატო-ს ახალი სტრატეგიული კონცეფციის მნიშვნელობაზე.

„შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ნატო-ს მადრიდის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებები დადებით გავლენას მოახდენს საქართველოს ალიანსში ინტეგრაციის პროცესზე. ამ კუთხით ყურადღება გამახვილდა სამიტის ფარგლებში საქართველოზე მორგებული მხარდაჭერის ზომების დოკუმენტის მიღებაზე და ნატო-ს ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში ღია კარის პოლიტიკის აქტუალობისა და საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივების ჯეროვნად ასახვაზე. ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა ალექსანდრ ვინნიკოვმა დადებითად შეაფასა ალიანსში ინტეგრაციის პროცესში საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი. შეხვედრისას კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ნატო-საქართველოს ურთიერთქმედების გაღრმავებისა და ინტეგრაციის პროცესის დაჩქარების მნიშვნელობას“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

## როგორი იქნება თანაცხოვრება კოვიდთან

„ფაქტია, რომ მოგვიწევს კოვიდთან თანაცხოვრება, რადგან არსად გაქრება ვირუსი. უკვე მიდის მუშაობა სამომავლოდ შეიქმნას უფრო სრულყოფილი ვაქცინა, რომელსაც ექნება ხანგრძლივი დამცველობითი იმუნიტეტი - ამის შესახებ ინფექციონისტი ალექსანდრე გოგინავა საუბრობს. მისივე თქმით, დროდადრო იქნება მცირე აფეთქებები, თუმცა, ახლა არსებობს ვაქცინა და ანტივირუსული პრეპარატები, რის ფონზეც “კოვიდ 19” აღარ არის ისეთი საშიში, როგორიც იყო რამდენიმე წლის წინ. ხოლო ალერგოლოგ-იმუნოლოგი ბიძინა კულუმბეგოვი ახალ განცხადებას ავრცელებს - მისი თქმით, ჩვენ მოგვიწევს აღნიშნულ ინფექციასთან ერთად ცხოვრება”.

რაც შეეხება პრევენციას, ამისთვის ერთადერთი ეფექტური საშუალება ჯერჯერობით ვაქცინაა. ვაქცინა უზრუნველყოფს დაავადების მძიმე მიმდინარეობის შემსუბუქებას და ამცირებს დაინფიცირების რისკებს. ამას გარდა, უკვე მიდის მუშაობა სამომავლოდ შეიქმნას უფრო სრულყოფილი ვაქცინა, რომელსაც ექნება ხანგრძლივი დამცველობითი იმუნიტეტი. ამიტომ, ყველაზე კარგი საშუალება არის ვაქცინაცია. ამასთან, არსებობს ანტივირუსული პრეპარატები, რომლებიც შესაძლებელია მივიღოთ მაშინ, თუ დაგვემართება ვირუსი. ისინი უზრუნველყოფენ, რომ დაავადება გადავიტანოთ შედარებით მსუბუქად, ამცირებენ მძიმე მიმდინარეობას და ჰოსპიტალიზაციის საჭიროებას. აქედან გამომდინარე, გვაქვს ვაქცინა და იგეგმება უფრო ეფექტურის შექმნაც, ასევე გვაქვს ანტივირუსული პრეპარატები, რაც ნიშნავს იმას, რომ კოვიდი დღეს აღარ არის ისეთი საშიში როგორიც მისი გამოჩენის პერიოდში. პანდემია მაინც მიდის დასრულებისკენ, თუმცა, ამას დასჭირდება დრო”, - აცხადებს ალექსანდრე გოგინავა.

“რაც შეეხება პრეპარატ პაქსლოვიდს, ეს ის ერთ-ერთი პრეპარატია, რომელიც წეღან ვახსენე. ანტივირუსული მედიკამენტი რომელიც ინიშნება დაავადების დაწყებიდან პირველი 5 დღის განმავლობაში. მისი გამოყენება უნდა მოხდეს ძირითადად რისკჯგუფებში და ადამიანებში ვისაც აქვს დაავადების მძიმე მიმდინარეობა. პრეპარატის დანიშვნა ხდება მას შემდეგ რაც ოჯახის ექიმი შეაფასებს რამდენად არსებობს საჭიროება მისი გამოყენების, იმიტომ, რომ როგორც სხვა ყველა პრეპარატს მასაც აქვს გვერდითი მოვლენები. პაქსლოვიდი არ გამოიყენება გარკვეული დაავადებების დროს, არ ინიშნება ცალკეულ პრეპარატებთან ერთად კომბინაციაში და ა.შ. ამიტომ პაციენტმა უნდა მიმართოს ოჯახის ექიმს, რომელსაც აქვს ამ პრეპარატის დანიშვნის პროტოკოლი. გარდა ამისა, რაც შეეხება პრეპარატის ხელმისაწვდომობას, ის არის მხოლოდ საავადმყოფოებში და მისი აფთიაქებში გაყიდვის საკითხზე ჯერჯერობით არაფერია ცნობილი”, - დასძენს გოგინავა.

“რა თქმა უნდა, ჩვენ შიშით ყველა სურდოიანი ადამიანის დათვლას ვერ დავიწყებთ. მთავარია, რომ შევამციროთ მძიმე დაავადების და შესაბამისად ჰოსპიტალური დატვირთვის რისკი. გვაქვს ძალიან კარგი ვაქცინები, რომლებიც მძიმე დაავადებისგან იცავს ადამიანს. გვაქვს რამდენიმე პრეპარატი მათ შორის ერთი პრეჰოსპიტალურად, 2 ჰოსპიტალში გამოსაყენებლად. ასე ადაპტაციის მაქსიმალური შესაძლებლობებით მოგვიწევს ჩვენ თანაცხოვრება ამ ინფექციასთან ერთად” - განმარტავს ბიძინა კულუმბეგოვი.

# ფარმაცევტულ კომპანიებსა და კახეთის რეგიონს შორის მემორანდუმი გაფორმდა

კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ჩართულობით რეგიონის მუნიციპალიტეტებსა და ფარმაცევტულ კომპანიებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ამის შესახებ ინფორმაციას კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ცნობით, კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ორგანიზებით რეგიონის მუნიციპალიტეტების მერებმა ფარმაცევტულ კომპანიებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს მერიების სოციალური პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარებისათვის მედიკამენტების შეძენის უზრუნველყოფას, სააფთიაქო ქსელში ყოველდღიური შეღავათიანი პირობებით.

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ კახეთის მუნიციპალიტეტების მერიების სოციალური პროგრამებით მოსარგებლე მოსახლეობას საშუალება ექნება კვირის ნებისმიერ დღეს ფასდაკლებით შეიძინონ საჭირო მედიკამენტები.

## სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია

ქალაქ დედოფლისწყაროში მარჯანიშვილის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, სოლომონ ღორაშვილთან ერთად დაათვალიერა.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 125 000 ლარია.

## კირქვის მოპოვება მეოთხე ადგილს იკავებს

გამოქვეყნდა საქართველოში წიაღის მოპოვებაში ჩართული ყველაზე მასშტაბური კომპანიების ოცეული. ირკვევა, რომ დედოფლისწყაროში კირქვის მოპოვება ოცეულში სამჯერ მოხვდა. კომპანიების ჩამონათვალში მეოთხე, 11-ე და 17 ადგილს იკავებენ კომპანიები, რომლებიც კირქვის მოპოვებას ახდენენ დედოფლისწყაროში. მონაცემები ასახავს წლიური მოპოვების მაჩვენებელსაც. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ჩვენს ქვეყანაში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების კუთხით, კირქვა მეოთხე პოზიციას იკავებს და „ჯორჯია მარგანეზს“ უსწრებს.

პირველ ორ ადგილს RMG ჯგუფი ოქროსა და სპილენძის მოპოვებით იკავებს. მესამე ადგილზეა „ბორჯომის“ წარმოება. მეოთხე ადგილი - „ჰაიდელბერგცემენტი“.

კონკრეტული მონაცემები ასეთია:

მეოთხე ადგილი – კირქვა დედოფლისწყაროს რაიონი, შპს „თერჯოლა-კარიერი“ (დაკავშირებულია „ჰაიდელბერგცემენტთან“). ჯამური მოპოვება 31 413 800 ტონა, ფასი - 20 357 864 ლარი, ფართობი 31.26 ჰა მოქმედი ლიცენზია;

11-ე ადგილი – კირქვა დედოფლისწყარო, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“. ჯამური მოპოვება 29 048 000 ტონა, ფასი - 5,000,079 ლარი, ფართობი - 26,7 ჰა, მოქმედი ლიცენზია;

17-ე ადგილი – კირქვა დედოფლისწყარო, შპს „რუსთავის ფოლადი“. ჯამური მოპოვება წელიწადში არანაკლებ 300,000 ტონა, ფასი - 2 180 907 ლარი, ფართობი 8,45 ჰა, ლიცენზია მოქმედია;

ილია მარტყოფლიშვილი

# განახლებადი ენერგიები – კლიმატის ცვლილების შერბილების უმთავრესი ფაქტორი

***„ევროპაში ასეთი პოპულარული პრაქტიკა არსებობს – მაგალითად, ბანკები, რომლებიც წარმოების განვითარებისთვის სესხს იძლევიან, უფრო მეტად წაახალისებენ ხოლმე იმ ბიზნესს, რომელსაც მწვანე გზით განვითარება აქვს გადაწყვეტილი, მაგალითად, ენერგოეფექტურ მიდგომებს იყენებს წარმოებაში. ასეთი წარმოება ყოველთვის უფრო წახალისებულია ბანკის მიერ",*** – ამბობს ორგანიზაციის ,,მწვანე რეგიონები" ექსპერტი რუსუდან სიმონიძე და გერმანიის მაგალითს იშველიებს, სადაც რამდენიმე წლის წინ ჰელიოსისტემის დანერგვას სახელმწიფომ შეუწყო ხელი და ბევრი ადამიანისთვის ის სერიოზულ ბიზნესად იქცა. ქვეყანამ საკუთარი ელექტროენერგიის გამომუშავებაც შეძლო და კლიმატის ცვლილების შერბილებაშიც სერიოზული წვლილი შეიტანა.

**13 ივლისს დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის პარტნიორი ორგანიზაციის „მწვანე რეგიონები" ექსპერტები სტუმრობდნენ, რომელთაც ისაუბრეს საქართველოში კლიმატის ცვლილებაზე და არსებულ გამოწვევებზე, ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებზე. ეს საკითხები დამსწრე საზოგადოებას გააცნო რუსუდან სიმონიძემ, რომელიც ეკოლოგია და აქტიურადაა ჩართული გარემოსდაცვითი საკითხების მოგვარებაში.**

საქართველო არის გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის მხარე ქვეყანა. კონვენციის განაწილების თანახმად, საქართველო მოხვდა დანართ 1-ში არშესულ ქვეყნებში, ანუ განვითარებად ქვეყნებში. განვითარებულ ქვეყნებს, გარდა ფინანსური ვალდებულებებისა, ჰქონდათ ცოტა განსხვავებული დღის წესრიგი. კონვენცია მუშაობს ორი მიმართულებით. პირველი, რომ ქვეყნების მიერ სხვადასხვა სახით შეზღუდული იყოს სათბურის ეფექტის მქონე აირების გაფრქვევა. ასეთი რამდენიმე აირი არსებობს, მაგრამ ნახშირორჟანგის, CO2-ის ექვივალენტი მიღებულია გაფრქვევის საზომ ერთეულად. CO2 დამაბინძურებელი აირი არ არის, მაგრამ გაბნეულია ატმოსფეროში და დედამიწიდან არეკლილ ინფრანითელ სხივებს უკან აბრუნებს და ეს ინვევს სწორედ სათბურის ეფექტს. სწორედ ამიტომ უწოდებენ ამ აირებს სათბურის ეფექტის მქონე აირებს. ნახშირორჟანგი გამოიყოფა ყველგან, სადაც წვის პროცესი მიმდინარეობს, კლიმატის ცვლილების შერბილების პროცესს, კონვენციის ენაზე ჰქვია მიტიგაცია. ესაა მცდელობა, შერბილდეს კლიმატის ცვლილების ზეგავლენა სათბურის აირების შემცირებით.

მეორე მიმართულება არის ადაპტაცია – ანუ უკვე შეცვლილ კლიმატთან ქვეყნების ადაპტირება, რაც გულისხმობს შეცვლილ კლიმატსა და ახალ რეალობასთან მორგებას. მორგებასთან დაკავშირებით ისიც აღსანიშნავია, რომ სათბურის ეფექტის გაზების გამო, კატასტროფული მოვლენები უფრო ინტენსიური გახდა. რა თქმა უნდა, ბუნებრივი კატასტროფები, მაგალითად, ღვარცოფი და წყალმოვარდნა ყოველთვის ხდებოდა, მაგრამ დღეს ეს ყველაფერი უფრო გახშირდა და ინტენსიურ ხასიათს ატარებს. მაგალითად, ნალექების რაოდენობა შეიძლება გარკვეულ ტერიტორიებზე ერთ დღეში მოვიდეს იმდენი, რაც ადრე მთელი თვის მანძილზე მოდიოდა. ეს კი იწვევს ბუნებრივ კატასტროფას. ასე არათანაბრად გადანაწილებულმა ინტენსიურმა, დიდი რაოდენობით მოსულა ნალექმა შეიძლება დიდი ღვარცოფი გამოიწვიოს. ამას მოსდევს არამარტო ეკონომიკური ზარალი, არამედ ადამიანური მსხვერპლიც. მაგალითად, გავიხსენოთ 2015 წლის 13 ივნისის მოვლენები.

ასე რომ, საქართველოში დღეს-დღეობით მუშაობა კლიმატის ცვლილებაზე ორი მიმართულებით მიმდინარეობს. მიტიგაციისგან განსხვავებით, ადაპტაცია თავისი არსით უფრო ეროვნულია და შესაბამისად, ამ მიმართულებით ხედვაც უფრო ეროვნული მასშტაბისაა.

გამოწვევა მდგომარეობს შემდეგში: კიოტოს ოქმი ვალდებულებებს უწესებდა განვითარებულ ქვეყნებს, ხოლო საქართველოს მსგავს ქვეყნებს ჰქონდათ მხოლოდ ანგარიშგების ვალდებულება. ანუ ჩვენ უნდა მოგვეხდინა ანგარიშგება იმის თაობაზე, თუ რა გაფრქვევები აქვს ქვეყანას და როგორია ამ გაფრქვევების წლიური მაჩვენებელი ტონებში. ამ დათვლას აქვს თავის მეთოდოლოგია. დამაბინძურებელ ნივთიერებებს, რაც ჰაერში გაიფრქვევა, მაგალითად, მტვრის კონცენტრაციას ვზომავთ ავტომატური სადგურებით. მაგრამ CO2 ასე პირდაპირ არ იზომება. მისი დათვლა ხდება სპეციალური მეთოდოლოგიით, გამოთვლით; მაგალითად, გაანგარიშება კეთდება, წვის დანადგარის მუშაობის შემთხვევაში, რა რაოდენობის CO2 გაფრქვევა ხდება ჰაერში. შესაბამისად, ქვეყნები ითვლიან თავიანთ წლიურ ემისიებს და შემდეგ ამის საფუძველზე ხდება სამიზნეების ანუ შემცირების ამოცანების შემუშავება, განსაზღვრა იმისა, თუ რისი შემცირება უნდა მოხდეს. განვითარებად ქვეყნებს ასეთი დავალება არ ჰქონდათ, მათი ვალდებულება იყო მხოლოდ ანგარიშების ე.წ. ეროვნული შეტყობინებების მომზადება და წარდგენა. ასეთი შეტყობინებები კონვენციის მიმართ, რა თქმა უნდა, საქართველოსაც აქვს გაკეთებული.

დღეს მთელი მსოფლიო ლაპარაკობს პარიზის შეთანხმებაზე. ამ შეთანხმებას ხელი 2015 წელს მოეწერა. ამ ხელშეკრულებას ხელი საქართველომაც მოაწერა და აიღო მისი წილი ვალდებულება კლიმატის ცვლილების გლობალურ გამოწვევასთან ბრძოლაში. ეს უნიკალური ხელშეკრულებაა, რადგან მსგავსი მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმება მეორე არ არსებობს. რატომ? იმიტომ, რომ პარიზის ხელშეკრულების მიხედვით, ყველა ტიპის ქვეყანას დაევალა, ინდივიდუალურად თვითონ განსაზღვროს და გამოთვალოს ეროვნული ეკონომიკის სექტორებში რომელი მიმართულებით და რამდენით შეუძლია გაფრქვევების შემცირება 2030 წლამდე. შემდეგ ქვეყანამ ეს შედეგები უნდა გადაიტანოს პოლიტიკის დოკუმენტში, დაამტკიცოს ეროვნულ დონეზე, როგორც არის მიღებული და ჩააბაროს მის მიერ აღებული ვალდებულების შესრულება კონვენციის სამდივნოში. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქვეყანა თავად საზღვრავს - რამდენის შემცირება შეუძლია და რა წვლილს შეიტანს გლობალურ პრობლემასთან ბრძოლაში".

საქართველოს ენერგეტიკული ბალანსის შესახებ ისაუბრა **ავთანდილ გელაძემ**. მან საზოგადოებას წარუდგინა საქსტატის მონაცემები, რომლის მიხედვითაც ჩვენს ქვეყანაში ენერგიის გამომუშვება სულ უფრო მცირდება, სამაგიეროდ იზრდება იმპორტი. ამ დარგის სპეციალისტთა ანალიზისა და დასკვნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ერთადერთი გამოსავალი ენერგოდაზოგვა და განახლებადი ენერგიების გამოყენებაზე სწრაფი გადასვლაა. საქართველოს ამისი დიდი პოტენციალი ავს. საქართველო ხომ მზის ქვეყანაა. სამწუხაროდ, არავინ იყენებს ამ რესურსს. კანონმდებლობა განახლებადი ენერგიებისა და ენერგოეფექტურობის რეგულირებასთან დაკავშირებით კი არსებობს, მაგრამ ის მხოლოდ ფურცელზე რჩება.

რაც შეეხება ენერგოდაზოგვას - ეს კიდევ ერთი დიდი პრობლემაა. საქართველოში ენერგოუზრუნველყოფას უფრო მეტი ენერგია სჭირდება, რადგან დღეს არსებული შენობების უმრავლესობაში იგნორირებულია სითბოს დამცავი საშუალებები. ენერგიის მოხმარების ხარჯები კი მზარდია და მძიმე ტვირთად აწვება ოჯახებს. საქართველოს რეგიონებში მოხმარებულ ენერგიაში დღემდე დიდი წილი აქვს შეშას. კვლავ იჩეხება ტყეები, რაც სხვა პრობლემასთან ერთად, უარყოფითად ცვლის ადგილობრივ კლიმატს, იწვევს ხევებისა და ნაკადულების დაშრობას. ერთადერთი გამოსავალი ენერგოეფექტურობა და ენერგოდაზოგვაა. თანამედროვე ენერგოეფექტური ტექნიკა და მეთოდები საშუალებას გვაძლევს ენერგიის მოხმარებისას უფრო მეტი სარგებელი მივიღოთ. ამის გამო უფრო ნაკლები ენერგიის დახარჯვა გვჭირდება იგივე სარგებლის მისაღებად-ანუ ვზოგავთ ენერგიას, ფულს და გარემოს.

შენობებში, რომელთაც არა აქვთ თბოიზოლირებული კედლები, სახურავი, იატაკი, კარი და ფანჯრები, გათბობისთვის საჭიროზე გაცილებით მეტი ენერგია იხარჯება და სახლი მაინც ვერ თბება. ეს, თავის მხრივ, ზრდის საწვავის ხარჯებს. ამ პრობლემის მნიშვნელოვნად შერბილება შესაძლებელია შენობების თბოიზოლაციის ხარისხის გაუმჯობესებით. ხარჯების შემცირების გარდა, თბოიზოლაცია ზრდის შენობებში კომფორტს დაუფრო ჯანსაღ საცხოვრებელ გარემოს ქმნის.

რაც მალე გაითვალისწინებს საქართველო ევროპული ქვეყნების გამოცდილებას და სწრაფად გადავა განახლებადი ენერგიების გამოყენებაზე, მით მალე დააღწევს თავს ენერგიის გაძვირებას და კლიმატის ცვლილების შერბილებაშიც დადებით როლს შეასრულებს-ესაა რეკომენდაცია, რომელსაც გარემოსდამცველები იძლევიან.

ტრენინგი ჩატარდა პროექტის ,,ინოვაციური მიდგომები - სათემო განახლებადი ენერგიის ოაზისები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში", რომელსაც „მზის პანელების პროექტი შინამეურნეობისთვის" ფარგლებში დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი ახორციელებს.

* * *

კლიმატის ცვლილება გამოწვეულია ადამიანის არამდგრადი ეკონომიკური აქტივობებითა და თანმდევი სათბურის აირების ემისიებით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ ეკონომიკურ აქტივობებს არსებითი მნიშვნელობა აქვს ადამიანის განვითარებისა და სიცოცხლის შენარჩუნებისთვის. აქედან გამომდინარე, იკვეთება დილემა: როგორ შეიძლება ადამიანის სიცოცხლის და კეთილდღეობის ხელშეწყობა ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულებების შემცირების პარალელურად. ამ დილემის გადაწყვეტის ერთ-ერთ გზად მიჩნეულია მწვანე ზრდა და მწვანე ეკონომიკა, რომლებიც რესურსების მოხმარებასთან და ემისიებთან დაკავშირებული ზრდის შეჩერებას მოიაზრებენ.

მნიშვნელოვან რეკომენდაციას გვაძლევს ევროკავშირი. ევროკავშირი თავის მხარე ქვეყნებში სავალდებულოდ თვლის, რომ 2050 წლისთვის გახდნენ კარბონნეიტრალურები. ეს ნიშნავს, რომ სათბურის აირის გაფრქვევები ნულამდე უნდა დაიყვანონ. რა თქმა უნდა, მთლიანად ნულზე დაყვანა წარმოუდგენელია. აქ იგულისხმება, რომ რა რაოდენობის ემისია ანუ გაფრქვევა აქვს ქვეყანას, იგივე რაოდენობის მშთანმთქმელი უნდა ჰქონდეს განვითარებული. ეს ევროკავშირის ქვეყნების ვალდებულებაა, მაგრამ ევროკავშირი მოუწოდებს თავის პარტნიორ აღმოსავლეთის ქვეყნებსაც, რომ მიბაძონ მათ და კარბონ-ნეიტრალურები გახდნენ 2050 წლისთვის.

ინგა შიოლაშვილი

# არხილოსკალოში რეგენერაციული აგროკულტურის ცენტრი შეიქმნა

***არხილოსკალო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით, კლიმატით და აგრონომიული ტრადიციებით გამორჩეული სოფელია, ხალხიც მიზანსწრაფულობით და სიახლეების ძიებით გამოირჩევა. სწორედ ამ ადგილას მცხოვრებ ქალბატონს მარინა(ნელი) წიკლაურს აეკვიატა აზრად რეგენერაციული სოფლის მეურნეობის არსში გარკვევა და შემდეგ აგროკულტურის ამ მიმართულების თავისსავე საკარმიდამო ნაკვეთში დანერგვა. ორიოდე წლის წინ, პირადად გამიზიარა თავისი სურვილი და მითხრა, რომ ამით მისი ქალიშვილიც იყო დაინტერესებული და უკვე ჰქონდა ინფორმაცია ამ მიმდინარეობის და საქართველოში სულ ცოტა ხნის წინ შექმნილი რეგენერაციული აგროკულტურის ცენტრის შესახებ. მოგვიანებით კი მთხოვა, როგორც დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელს, მხარი დამეჭირა მისი ინიციატივისთვის. სწორედ ასე გახდა ჩვენი ,,ლაგი" (დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი) საქართველოს რეგენერაციული აგროკულტურის ცენტრის პარტნიორი ორგანიზაცია პროექტში ,,რეგენერაციული აგროკულტურის ცენტრის ინსტიტუციური განვითარება დედოფლისწყაროში", რომელსაც ოთხ თვეში უნდა დაედო შედეგები. პროექტს აფინანსებს გაეროს განვითარების პროგრამა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო.***

სულ ცოტა ხნის წინ ვესტუმრე არხილოსკალოს და გავესაუბრე აქ მოფუსფუსე ადამიანებს.

**პროექტის მენეჯერი, პროფესიული განათლების ექსპერტი** მაგდა ქავჯაია: -

**რატომ გადავწყვიტეთ აქ ამ პროექტის განხორციელება?** რეგენერაციული აგროკულტურის ინსტიტუციონალური განვითარება, ისეთ გეოგრაფიულ არეალში, სადაც კლიმატის ცვლილება ყველაზე მკვეთრად არის გამოხატული და გაუდაბნოების პროცესი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, დროული და უმნიშვნელოვანესია. ასეთ პირობებში საჭიროა ისეთი აგრონომიული მიმდინარეობების დანერგვა, რომელიც ხელს უწყობს სოფლად ხარისხიანი და უხვი საკვების წარმოებას, ბუნებრივი რესურსების მდგრადად მართვას. დღეს მსოფლიოში საკვების დეფიციტის პრობლემა დგას, რაც პირდაპირ კავშირშია ატმოსფერული ტემპერატურის მატებასთან, ეს განაპირობებს კლიმატის ცვლილებას და საფრთხეს უქმნის ადამიანთა საარსებო გარემოს. ამ პროცესების დაჩქარებას კი ხშირად ხელს უწყობენ თავად ადამიანები, რომლებიც უკონტროლოდ და გაუაზრებლად იყენებენ სოფლის მეურნეობაში შესაწამლ ქიმიურ პრეპარატებს, რითაც აზიანებენ გარემოს, ანადგურებენ მიკროელემენტებს ნიადაგში და არღვევენ ჰუმუსის სტრუქტურას. საჭიროა სწორი და გააზრებული მიდგომა ამ პროცესების სამართავად. ჩვენ გვინდა ფესვებიდან, სწორედ სოფლის და გლეხების საკარმიდამო ნაკვეთებიდან დავიწყოთ სასიკეთო ცვლილებები. სწორედ ამ გამოწვევების დაძლევას ემსახურება ჩვენი პროექტი, რომელიც დიდი ენთუზიაზმით დავიწყეთ და ვფიქრობ, გაამართლა კიდეც. შეგვიყვარდა აქაური ხალხი და სოფლის ცხოვრება.

გია რაზმაძე, **რეგენერაციული აგროკულტურის ცენტრის დირექტორი, პროექტის სასწავლო კურსის ხელმძღვანელი:** „კლიმატის ცვლილების კრიზისის დაძლევაში ერთერთ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ბალახოვანი საფარის არსებობა, სადაც ხდება ნახშირბადის წარმოქმნა და ნიადაგის კარგ მდგომარეობაში მოყვანა. ჩვენ კი რას ვაკეთებთ? გამოცხადებული გვაქვს ბალახთან ბრძოლა ტექნიკით და შხამ - ქიმიკატებით. არ ვუვლით საძოვრებს, არ ვყოფთ მას ქვესაძოვრებად და არ ვიყენებთ მორიგეობით ძოვების საუკეთესო პრაქტიკას. ეს ანადგურებს ბალახოვან საფარს და ამცირებს საძოვრის კვებით ღირებულებას. ბალახის საფარის შენარჩუნება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნიადაგის დაცვაში. სადაც ხშირი ბალახია, იქ მიწა არ არის დამსკდარი გვალვისგან, მოტიტვლებულ ადგილას კი უამრავ ნაპრალს ნახავთ, სადაც უკვე წვეთოვანი რწყვის გამოყენების აუცილებლობა დგება. ჩვენს საკარმიდამო ბაღ-ბოსტნებსა თუ ვენახებშიც უმოწყალოდ ვებრძვით ბალახს, არადა მას ნიადაგის დაცვის - დღის კონდენსაციის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია. თქვენ, ალბათ ყველას შეგინიშნავთ ღამით და გამთენიისას ცვარი ბალახზე, რასაც ცივი და ცხელი ჰაერის შეხვედრა იწვევს და ორთქლის წყლად გარდაქმნა ხდება, ნიადაგს უნარჩუნდება ტენი და აღარ ხდება მისი გამოშრობა, შესაბამისად, აღარ საჭიროებს რწყვას. ეს მთლიანი პროცესი ბუნებრივი კონდენსატის ეფექტს იძენს და აფერხებს ნიადაგის გამოშრობას, ხელს უწყობს ნიადაგის პროდუქტიულობის ამაღლებას და მოსავლიანობის ზრდას. ნიადაგის ტემპერატურის საზომის გამოყენების დროს ვნახეთ, რომ მოტიტვლებულ ადგილას საზომმა 41 გრადუსი გვიჩვენა, მწვანე ბალახოვან საფარში - 24 გრადუსი, სხვაობა 10-12 გრადუსია ხოლმე. ნიადაგის გახურება 25 გრადუსის ზემოთ, ანადგურებს ჰუმუსს. სადაც ბალახია, იქ უკვე დღის კონდენსატი გვაქვს, ხელით მოსინჯვისას მიწა იზილება და არ იფშვნება, შენარჩუნებულია ფოტოსინთეზის პროცესიც. ხის ქვეშ თუ ბალახი არ არის, კონდენსატი ვერ გაჩნდება. ჰერბიციდებით ბალახის განადგურების დროს კი ნადგურდება ნიადაგიც. ასეთი პრაქტიკის შედეგად, ყოველწლიურად 12 მილიონი ჰა ნადგურდება .

**- ბატონო, გია, თქვენ გამორიცხავთ ნიადაგის ხარისხის გასაუმჯობესებლად, ხელოვნურ ჩარევას?**

- ყველაფერი უნდა იყო დოზირებული. დღეს ადამიანები ჭამის შემდეგ იყენებენ კვებით დანამატებს, რადგან მიღებული კვების პროდუქტებიდან ვეღარ იღებენ ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ საჭირო ელემენტებს, რატომ? იმიტომ, რომ საკვები პროდუქტები ვეღარ მოჰყავთ ბუნებრივ გარემოში და აღარ გააჩნია ის კვებითი ღირებულება, რაც უნდა ჰქონდეს ჯანსაღ პროდუქტს.

**- თქვენ სადემონსტრაციო ნაკვეთში შეიყვანეთ იმერული ცხვარი, იხვები, ბაღ-ბოსტნებში ცხოველების და ფრინველების შეშვება რას ემსახურება, ხომ შეიძლება მათ დააზიანონ ნარგავები?**

- ცხოველების და ფრინველების გაშვება ისეთ პერიოდში უნდა მოხდეს, როცა, მცენარეების დაზიანების ნაკლები შესაძლებლობაა. ბალახის წინააღმდეგ ჰერბიციდების გამოყენებას, ჯობია ბუნებრივი ძოვება როტაციულად და მათი სკრიმინტებით ნიადაგის ბუნებრივად განოყიერება ზედმეტი დანახარჯების გარეშე.

**- რატომ მაიცადამაინც იმერული ცხვარი, აქაურ კლიმატს როგორ ეგუებიან?**

-მშვენივრად, იმერული ცხვარი წელიწაში 4 ბატკანს იძლვა და 10-12 დედაცხვრის მომრავლების შემთხვევაში, მათი გაყიდვით გლეხი სოლიდურ შემოსავლს იღებს. ეს უკვე დამატებითი შემოსავალია მისთვის, არც საკვების ყიდვა სჭირდება ცხვრებისთვის, რადგან იყენებს ქვესაძოვრებად დაყოფილ საკუთარ ბაღ-ბოსტანს და ვენახს, სადაც ბუნებრივადაა გაშვებული ბალახის საფარი და ცხოველი ძირიანად არ თხრის მას, ანუ ნახევრად ძოვს და მას განახლების საშუალებასაც აძლევს.

სულ ცოტა ხნის წინ დედოფლისწყაროს მოსახლეობას გაზეთის საშუალებით მივაწოდეთ ინფორმაცია რეგენერაციული აგროკულტურის, პერმაკულტურის არსის შესახებ და ახლაც მინდა შევასხენო მათ ამ მიმართულების სპეციფიკის მთავარი სარგებლიანობა, როგორც ადამიანებისთვის, ასევე ბუნებისთვის, ჩვენი საარსებო გარემოსთვის.

,,პერმაკულტურა არის მეურნეობისადმი სისტემური მიდგომა და საბოოლოო მიზანია შეიქმნას ისეთი ბუნებრივი მექანიზმი, რომელიც ადამიანის გარეშე იფუნქციონირებს და მოუტანს დოვლათს. ერთი შეხედვით ზღაპარს გავს, მაგრამ ვნახოთ რაზეა საუბარი. პერმაკულტურის პრინციპების გამოყენება ნიშნავს იმას, რომ ჯობს ჯერ დააკვირდე შენს სახლს, შენს ნაკვეთს განსაზღვრო შენი მიზანი და დაფიქრდე რანაირად შეიძლება მომავალი სისტემის - ფერმის სხვადასხვა ელემენტები ისეთნაირად განალაგო, რომ ერთდროულად რამოდენიმე ფუნქციას ასრულებდნენ და მთლიანი სისტემის და მისი ცალკეული ელემენტების ფუნქციონირებაში იღებდნენ მონაწილეობას. ასევე აღსანიშნავია, რომ პერმაკულტურაში ინტენსიურად გამოიყენება მულჩირება და კომპოსტირება, მიკრო კლიმატური ზონების მოწყობა, მცენარეთა შესაძლო თანაცხოვრება კულტურათა მონაცვლეობა, სასარგებლო მწერების მომრავლება და სხვა.მაგალითად სახლმა, როგორც სისტემის ერთ ერთმა ელემენტმა შესაძლოა სახურავით წყალი შემიგროვოს, სამხრეთის კედელთან საჩითილის ან პატარა სათბურის გაკეთება შეიძლება რომლის ერთ ბოლოში ქათამს დავასახლებ და ღამით სათბურში სითბოსა და ნახშირჟანგს მოგვცემს, ასევე უფასო სასუქს. ასეთი მაგალითები უამრავი შეიძლება მოვიყვანოთ. ამიტომ თუ წინასწარ განვსაზღვრავთ თითოეული ელემენტის თვისებებს შევძლებთ შევქმნათ იდეალური ეკო სისტემა ბუნებასთან თანამშრომლობის პრინციპით და ეს ფერმა იქნება თვითმყოფადი ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც ადამიანის დახმარებით და არა უხეში ჩარევით შეძლებს ავტომატურ ფუნქციონირებას და ჭარბი მოსავლის მოცემას. ბუნებაში არაფერი არ ხდება ძალის გამოყენებით, იქ, სადაც ადამიანი არ ერევა ყველაფერი ჭარბადაა და მასთან თანამშრომლობით უნდა შევძლოთ ამ სიჭარბის შექმნა ჩვენს ბაღებში."

**-რა შედეგები მოიტანა ამ პროექტმა სტუდენტებისთვის და სოფლის მოსახლეობისთვის?**

როგორც ქ-მა მაგდამ აღნიშნა, პროექტში 10 ადგილობრივი უნდა ყოფლიყო ჩართული, თუმცა, 12 მონაწილე დაემატა დედაქალაქიდანაც. სტუდენებიც დიდი ინტერესით და აქტიურად იყვნენ ჩართულნი. რამდენიმე მათგანს გავესაუბრე:

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიოტექნოლოგიების და გამოყენებითი მეცნიერებების სპეციალობის სტუდენტი** რატი კობერიძე: -პირველ რიგში

დავინტერესდი სოფლის მეურნეობით, ამიმაღლდა მოტივაცია. წილკანში მაქვს მიწის ნაკვეთი, ვაშლის და ქლიავის ბაღით, თავს ვანებებდი მის მოვლას, რადგან ძვირი ჯდებოდა, თან არ მინდოდა შხამ-ქიმიკატების გამოყენება. გადავწყვიტე რეგენერაციული აგროკულტურის მეთოდით მისი მოწყობა. აქ მივიღე საჭირო ცოდნა და პრქტიკული გამოცდილება, რამაც თავდაყირა დააყენა (კარგი გაგებით) ჩემი სამეცნიერო განათლება, მივხვდი, რომ მას დაკვირვება და პრაქტიკული ჩაშლა სჭირდება. გადავწყვიტე, თუშური ცხვარი შევიყვანო ბაღში და დავამკვიდრო როტაციული ძოვება.

სოფო ოვაშელი, **ფინანსისტი:**

მუხრანში 20 ჰექტარზე ოთხი ჯიშის ვაზი გვაქვს გაშენებული : თავკვერი, შავკაპიტო, ჩინური დანახარული და გორული მწვანე, შესაბამისად, 4 სახეობის ყურძენს ვაწარმოებთ, ბიომიმართულება გვაქვს აღებული, მხოლოდ შაბს და კირს ვიყენებთ, კულტივაციას თავი დავანებეთ და ბალახი გავუშვით, მოვიყვანეთ იმერული ცხვარი, პერიოდის შერჩევით შეგვყავს ვენახში გასაძოვებლად. მთელი ოჯახი ჩართული ვართ, ეხლა ვსწავლობთ მვენახეობა-მეღვინეობას, რეგენერაციული მეთოდს ვნერგავთ, ეს ფულს გვიზოგავს, ახლა მხოლოდ ყურძენს ვაწარმოებთ და ვყიდით, ფინანსური რესურსი გვჭირდება, რომ მარანი მოვაწყოთ და ღვინის წარმოებაზეც გადავიდეთ.

რევაზ ჭეშმარიტაშვილი, **პროექტის კოორდინატორი:**

**- რა მოლოდინები გქონდათ, გაამართლა თუ არ თქვენმა პროექტმა?**

-ჩვენი მთავარი მიზანი იყო, ისეთ კლიმატურად მოწყვლად რეგიონში, როგორიც დედოფლისწყაროა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანებისთვის გაგვეცნო რეგენერაციული აგროკულტურის არსი და სარგებლიანობა. ქ- მარინას დიდი ენთუზიაზმით და მხარდაჭერით ავირჩიეთ სოფელ არხილოსკალოს ,,ცოდნის სახლი", სადაც პროექტის ფარგლებში დავაფუძნეთ რეგენერაციული აგროკულტურის ცენტრი, რომელსაც ადგილზე უხელმძღვანელებს ქალბატონი მარინა წიკლაური, უკვე მიღებული ცოდნით და სადემონსტრაციო ბაღის გამოყენებით. ჩვენი მიზანი მიღწეულია, ინსტიტუციონალურად გავაძლიერეთ რეგენერაციული აგროკულტურის ცენტრი და შევცვალეთ ადამიანთა ცნობიერება და დამოკიდებულება თანამედროვე აგროკულტურის მიმართ. დავნერგეთ გარემოსადმი სწორი დამოკიდებულების და ბუნებრივობის კულტურა. მომწონს სწავლების თეორიული და პრაქტიკული სინთეზი, ამას კარგი შედეგი მოაქვს, გაკეთდა ვებგვერდი, ფეისბუქზე გავაკეთეთ ჯგუფი, სადაც ერთთმანეთს ვუზიარებთ ინფორმაციას და გამოცდილებას, ჩავწერეთ ვიდეო გაკვეთილები, რამაც გაზარდა ცოდნის გავრცელების არეალი. პროექტში ჩართული ადამიანები ძალიან საინტერესო და კარგი ადამიანები აღმოჩნდნენ, დავმეგობრდით საქმიან გარემოში, გაჩნდა კომუნიკაცია, რამაც ქალაქი (თბილისი) და სოფელი ერთმანეთთან დააკავშირა, გააძლიერა სოფელი და მას განვითარების მეტი შანსი მისცა. ვიმედოვნებთ, რომ თანდათან მომრავლდება რეგენერაციულ ბაღები და იქ მოყვანილ ხარისხიან გლეხურ პროდუქტზე დიდი მოთხოვნები გაჩნდება, რაც სოფლად დასაქმებულ ადამიანებს მეტ შემოსავალს მოუტანს და გააძლიერებს. შესაძლოა, მომავალში ასეთი ბაღები ტურისტულადაც საინტერესო გახდეს.

**მე მიყვარს ჩვენი პროექტი და ის ხალხი, ვინც ამ 4 თვის განმავლობაში ჩვენს გვერდით იყო, ყველას ვუსურვებ წარმატებას. . .**

რეპორტაჟი სოფელ
არხილოსკალოდან მოამზადა
ანა ბენაშვილმა, *პარტნიორი ორგანიზაციის - დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვთარების ჯგუფის ხელმძღვანელმა*

# საძოვრების იჯარით გაცემა უფრო სამართლიანი პრინციპით

**„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის“ პროგრამის ფარგლებში, შეირჩა და გამოქვეყნდა მეორე ეტაპზე აუქციონის გზით იჯარით გასაცემი საძოვრის კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მონაცემები. როგორც გაზეთ „შირაქს“ სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მეტი ერთეული საძოვარი სწორედ დედოფლისწყაროში დაემატა. ჯამში აუქციონზე გამოვიდა 15 000 ჰექტრამდე საძოვარი. სხვა წლებისგან განსხვავებით, სახელმწიფო შეეცადა საძოვრების გაცემის წესი ბევრად სამართლიანი გაეხადა.**



## „მიწა უნდა გაიცეს მხოლოდ მათზე, ვისაც საქონელი ჰყავთ“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, გამოქვეყნდა კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის რეგიონების საძოვრების მონაცემები.

**სიღნაღის მუნიციპალიტეტიდან – 21, ახმეტის – 4, დედოფლისწყაროს – 64, საგარეჯოს – 12, ყვარლის – 3, ახალციხის – 4, ნინოწმინდის – 2, ბორჯომის – 2, მცხეთის – 3, ხოლო გორის მუნიციპალიტეტიდან – 1, სულ – 116 ერთეული.**

მეორე ეტაპად გამოქვეყნებული საძოვრების იჯარით აღების მსურველთა განაცხადების მიღება 22 ივნისს დაიწყო და 5 აგვისტომდე გაგრძელდება. პროგრამის მოთხოვნების შესაბამისი პროცედურების გავლით, ფერმერებს შეუძლიათ აღნიშნულ მუნიციპალიტეტში, სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული საძოვრებით ისარგებლონ. კახეთის მხარეში, პირველ ეტაპზე, იდენტიფიცირებულია 610 საძოვარი, საერთო ფართობით 26 212 ჰექტარი, ხოლო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში – 11 382 ჰექტარი. ორ ეტაპად გამოქვეყნებულია 116 საძოვრის მონაცემები სამცხე-ჯავახეთის, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებიდან, საერთო ფართობით – 14 786 ჰექტარი;

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის“ პროგრამის ფარგლებში, შეირჩა და გამოქვეყნდა მესამე ეტაპზე აუქციონის გზით იჯარით გასაცემი საძოვრის კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მონაცემები, – ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს. მათივე ცნობით, გამოქვეყნებულია იმერეთის, კახეთის და შიდა ქართლის რეგიონების 24 ერთეული საძოვრის მონაცემები, მათ შორის, **წყალტუბოს მუნიციპალიტეტში – 15, დედოფლისწყაროში – 7, ხოლო კასპის მუნიციპალიტეტში – 2.**

„მესამე ეტაპად გამოქვეყნებული საძოვრების იჯარით აღების მსურველთა განაცხადების მიღება დაიწყო 11 ივლისს და გაგრძელდება 12 აგვისტომდე. დღეის მდგომარეობით, სულ გამოქვეყნებულია მონაცემები 271 საძოვრის შესახებ. დეტალური ინფორმაცია განთავსებულია სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდებზე (www.land.gov.ge www.mepa.gov.ge), ასევე სააგენტოს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე.

მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი მიშელაძემ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლებს და ადგილობრივ ფერმერებს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროგრამის მნიშვნელობა და მონაწილეობის პირობები ჯერ კიდევ სამი თვის წინ დედოფლისწყაროს მერიაში გამართულ სპეციალურ სამუშაო შეხვედრაზე გააცნო. ამის შესახებ გაზეთი „შირაქი“ აპრილის თვეშიც გიამბობდათ.

საძოვრების შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდებზე (**www.land.gov.ge www.mepa.gov.ge**), ასევე სააგენტოს ოფიციალურ ფბ გვერდზე.

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროგრამა საქართველოს მთავრობამ 2021 წლის 6 ოქტომბერს დაამტკიცა. პროგრამა მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის მფლობელ ფერმერებს საშუალებას აძლევს, სასურველი საძოვარი აუქციონის გზით მიიღონ და სამწლიანი იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში განკარგონ. პროგრამა, საძოვრებზე ლეგიტიმური კერძო პასუხისმგებლობის გაჩენით, ხელს შეუწყობს მათ რაციონალურ გამოყენებას, დაიცავს დეგრადაციისგან და, ამავდროულად, მეცხოველეობის დარგის განვითარებას დაეხმარება.

**საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე,** ბექა გონაშვილი, **რომელიც დედოფლისწყაროელია და დარგის საჭიროებებს კარგად იცნობს, გაზეთ „შირაქს“ უყვება, რომ ის, რაც სახელმწიფომ ახლა გაითვალისწინა, მრავალი წელია ითხოვდნენ. გონაშვილის განმარტებით, სამიზნე ჯგუფებისთვის უპირატებობის მინიჭება აუცილებელია და საძოვრების იჯარით აღება მხოლოდ მათ უნდა შეეძლოთ, ვისაც საქონელი ჰყავს. ის იხსენებს, რომ აქამდე ასე არ ხდებოდა და რეგულაციების არარსებობის გამო საძოვრების დიდი ნაწილი სხვა ჯგუფების ხელში იყო.**

ბექა გონაშვილი: „2007 წელს, სააკაშვილის დროს, მოგეხსენებათ, მიწების გაყიდვა დაიწყო. ვისაც ჰქონდა იჯარა, მხოლოდ მათ ჰქონდათ შესყიდვის უფლება. შემდეგ, 2010 წელს ეს გაუქმდა და საძოვრების შესყიდვა შეუძლებელი გახდა. უმრავლესობას, ვისაც ფერმა აქვს ნაყიდი, შენობის გარშემო საძოვარი სახელმწიფოსი, ან სხვისი იყო. სახნავ-სათესის შესყიდვა იყო შესაძლებელი, თუმცა აუქციონის წესით. გიორგი კვირიკაშვილის პრემიერობის დროს, სავარაუდოდ 2016 წელს გამოვიდა ახალი გადაწყვეტილება, რომ ელექტრონულ აუქციონზე გამოიტანდნენ მიწას და ნებისმიერ ადამიანს შეეძლო პორტალზე შესულიყო, აუქციონში მონაწილეობა მიეღო და საძოვარს ის მონაწილე მიიღებდა, ვინც მეტ ფასს შესთავაზებდა. საუბარი იყო საძოვრის დაქირავებაზე და არა შესყიდვაზე. **მეცხვარეთა ასოციაციას სახელმწიფოს ეს მიდგომა არასწორად მიაჩნდა და ამის ირგვლივ მაშინ პროტესტი ხმამაღლა გამოვხატეთ. სახელმწიფო არ გვეთანხმებოდა და მაშინ არავინ არ მოგვისმინა. ჩვენი პოზიცია დაუჯერებლად ეჩვენებოდათ, მაგრამ მოხდა რამდენიმე შემთხვევა. ერთერთ აქტიურ ფერმერს, ნინო ზამბახიძეს საინტერესო ამბავი გადახდა. ის ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარეა და ამგვარ აუქციონში, სადაც ზამბახიძე მონაწილეობდა 2 500 ლარად გამოტანილი საძოვარი კონკურენტმა დაინტერესებულმა პირმა 250 000 ლარზე აიყვანა. ცხადია ეს უსამართლო გარემოს ქმნიდა და აბსურდულ ვითარებამდე მიგვიყვანა. არადა, ამ გზით გარკვეული პირები მიწებს იღებდნენ, მათ კი ძირითადად არანაირი შეხება არ ჰქონდათ ცხვართან, ძროხასთან და ზოგადად, ცხოველებთან. მათ მხოლოდ ოფისები ჰქონდათ გახსნილი და შემდეგ მიწების გადაქირავებას ახდენდნენ სხვა დაინტერესებულ პირზე პრივატულად და უფრო მაღალ ფასში.** ზარალდებოდა სახელმწიფოც. დეგრადირდებოდა ეს მიწებიც, რადგან ჭარბი საქონელი იყო და ჭარბი ძოვება აზიანებდა. ამიტომაც, ნამდვილად მშრომელი ხალხი ამის წინააღმდეგი იყო, ჩვენც ძალიან ვიბრძოდით. შედეგი მალევე დადგა და შეჩერდა პროცესი. თუმცა, არც ასე შეიძლება, რომ უამრავი საძოვარი კვლავაც სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდეს. ბოლო 6 წელია ამაზე ვიბრძოდი და ჩვენი მთავარი მოთხოვნა იყო, რომ აუქციონი უნდა გაიმართოს გარკვეული პიროგებით, შეზღუდული წრისთვის. ამაში გვეთანხმებოდა ფერმერთა ასოციაცია და მისი ხელმძღვანელი ნინო ზამბახიძეც ძალიან გვერდით მედგა. **ხაზგასმით ვითხოვდით, რომ აუქციონში მონაწილეობის უფლება მიეცეთ მხოლოდ მათ, ვისაც რეალურად ჰყავს საქონელი, ამის დადასტურებას შეძლებს და ნამდვილად ესაჭიროება საძოვარი. იყო წინააღმდეგობა, რომ ბიუროკრატიისა და სხვა მიზეზების გამო ამის დადასტურება პრაქტიკაში გაჭირდებოდა. აქაც კონკრეტული არგუმენტები დაგვეხმარა. მანამდე თუ ცხვრის რეგისტრაცია არავის სურდა, ახლა ე.წ. „დაბირკვაზე“ მოთხოვნა გაიზარდა, რათა აუქციონში მონაწილეობა შეძლებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ სურსათის სააგენტო ცხვრის უფასო აცრას ახორციელებდა, მეცხვარეების ნაწილი რეალურ რაოდენობას მაინც არ არეგისტრირებდა. სახელმწიფოს დავუსაბუთეთ, რატომ იკავებდნენ თავს მეცხვარეები ცხვრის რეალური რაოდენობის დარეგისტრირებასა და იდენტიფიცირებაზე. ვუთხარით, რომ თუკი სურსათის სააგენტო გასცემდა დოკუმენტს, და აუქციონში ეს შეზღუდვა შემოვიდოდა, ამ შემთხვევაში ცხვრის რეგისტრაციის მაჩვენებელიც გაიზრდებოდა და ასეც მოხდა.** სიმართლე გითხრათ, არც მეცხვარეებისთვისაა კარგი გამოსავალი საძოვრის აუქციონის წესით მიღება, მაგრამ ეს პრაქტიკა ხელს შეუწყობს იმას, რომ აუქციონის წესით ბრძოლაში ჩაერთოს ნამდვილად დაინტერესებული სამიზნე ჯგუფი და არა ფულიანი ხალხი. გასული წლის 6 ოქტომბერს მთავრობამ ამ ინიციატივაში მხარი ოფიციალურად დაგვიჭირა. მთლად ყველაფერი ისე არ წერია, როგორც ჩვენ გვინდოდა და სწორად მიგვაჩნია, ბევრი რამ კიდევ დასახვეწია, მაგრამ მთავარი შედეგი დადგა და მნიშვნელოვანი შენიშვნები გათვალისწინებულია“.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების ფართობი დაახლოებით 1.8 მილიონ ჰა-ს შეადგენს, მათ შორის, დაახლოებით, 500 ათასი ჰექტარი ეროზიულია.

შეგახსენებთ, სახელმწიფო პროგრამა შესაძლებლობას იძლევა, საძოვარი აუქციონის გზით მიიღონ მხოლოდ მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის მფლობელმა ფერმერებმა და 3-წლიანი იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში განკარგონ. აუქციონში მონაწილეობას მიიღებენ წინასწარ შერჩეული პრეტენდენტები. საძოვრების გადაძოვებისგან დასაცავად, პროგრამაში ჩადებულია დამცავი მექანიზმი ერთი სული საქონლისთვის ზღვრული დატვირთვის ნორმის სახით. ერთ სულ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის განსაზღვრულია არანაკლებ 1 ჰა და არაუმეტეს 1.5 ჰა საძოვარი ან/და ერთ სულ წვრილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის - არანაკლებ 0.2 ჰა და არაუმეტეს 0.5 ჰა.

ილია მარტყოფლიშვილი

# ზემო ქედის კომუნა — თავგადასავალი კობა ჩოხელისა

***ვის არ გაუგონია საქართველოში კობა ჩოხელის სახელი! ვის არ სმენია მისი საგმირო საქმენი!... ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა მის თავზე, თორემ იმდენი ჭირ-ვარამი გამოუვლია, იმდენი ბობოქარი დღეები გადაუყრია, ადამიანი კი არა, ქვა ვერ გაუძლებდა.***

გვინდა ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ამ ლეგენდარული ადამიანის ღვაწლი სამშობლოს წინაშე, რათა მომავალმა თაობამ ღირსეულად დააფასოს მამა-პაპათა მემკვიდრეობა.

კობა ჩოხელი დაიბადა 1893 წელს დუშეთის მაზრის სოფ. ჯუღირსში, ღარიბ გლეხის ოჯახში. მამა კობას დაბადებამდე უმსხვერპლია ზვავს, დედა - **ქალთამზე ბუბუნაური** იძულებული გახდა შვილები (სულ 7 შვილი ჰყოლია) მოჯამაგირეებად დაეყენებინა, 10 წლის კობა კი მდიდარ მეცხვარეს მწყემსად დაუდგა.

გადიოდა დრო, წლებთან ერთად კობას ჯაფაც ემატებოდა, ფიქრობდა, დავვაჟკაცდები და იქნებ მაშინ გადმომხედოს ღმერთმაო, მაგრამ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, 21 წლის კობა ჩოხელი მეფის არმიაში ჯარისკაცად გაიწვიეს და ომის მთელმა რისხვამაც მის თავზე გადაიარა. ოქტომბრის რევოლუციამ მას ერაყში, ბაღდადში მოუსწრო. ჯარისჯაცებმა ჩოხელი სხვებთან ერთად დეპუტატად აირჩიეს და რუსეთში გააგზავნეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ნდობის გამოსაცხადებლად, მაგრამ ბაქოში ჩასვლისანავე დააპატიმრეს და დახვრეტა მიუსაჯეს. ბაქოელმა კომუნისტებმა გაქცევა მოუწყეს და როსტოვში გააგზავნეს.

1918 წელს იგი საქრთველოში ჩამოდის და მონაწილეობას იღებს 1918 წლის დუშეთის აჯანყებაში. აჯანყების დამარცხების შემდეგ გადადის ჩრდილო კავკასიაში. 1921 წელს კობა ჩოხელი მე-11 არმიის ერთ-ერთ ნაწილთან ერთად წითელწყაროში შემოდის. ამავე წელს დასახლდა ზემო ქედში და დაინიშნა ამავე სოფლის რევკომის თავმჯდომარედ.

ზემო ქედში დუშეთის და თიანეთის მთიანი სოფლებიდან ვაჟა-ფშაველას მიერ ჩამოსახლებული გლეხობა ცხოვრობდა. ცხოვრება თორემ რა ცხოვრება იყო: **ლასტის ქოხებში დღე და ღამე ერთად იყო ხალხი და საქონელი, იქით ჭრაქი ბოლავდა, აქეთ შუაცეცხლი, ზაფხულში მტვერი ახრჩობდათ, ზამთარში გაუვალი ტალახი. დასამუშავებელი მიწა ბევრი იყო, მაგრამ მუშა საქონელი ჭირდა. მიწაც იმისი იყო, ვისაც საქონელი ჰყავდა, ასეთები კი მდიდარი გლეხები იყვნენ.**

კობა ჩოხელმა იცოდა, რომ ასეთი ცხოვრება ხალხს არ გამოადგებოდა, ვერც სიღარიბიდან ამოვიდოდა, ბევრი იფიქრეს ზემო ქედელებმა, იმსჯელეს და გადაწყვიტეს კომუნა დაეარსებინათ. (კომუნა – გლეხურ მეურნეობათა გაერთიანება)

1926 წელს შედგა კომუნის პირველი კრება, რომელსაც 22 მამაკაცი და 8 ქალი ესწრებოდა. ეს იყო უდიდესი მოვლენა ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლის ისტორიაში. კრებამ მიიღო კომუნის წესდება, რომელიც 24 მუხლისაგან შედგებოდა, თავმჯდომარედ აირჩიეს კობა ჩოხელი. პირველად კომუნაში 17 კომლი გაერთიანადა, ყველა ღარიბ-ღატაკი, წერა-კითხვა მხოლოდ სამმა იცოდა. ცხადია, პირველ ხანებში ძალიან უჭირდათ, ყველაფერი აკლდათ, მაგრამ ნათელი მომავლის იმედით ყველაფერს იტანდნენ.

კომუნის წესდებით უქმდებოდა ყოველგვარი კერძო საკუთრება, კომუნის წევრთა მთელი უძრავ-მოძრავი ქონება გაერთიანდა, **წესდება კრძალავდა ლოთობას, ერთმანეთისთვის შეურაცყოფის მიყენებას. თუ კომუნის წევრს სტუმარი მოუვიდოდა, სამ დღეს შეიძლებოდა ოჯახში ჰყოლოდა, ანდა 3 დღის შემდეგ კი ან უნდა წასულიყო, ანდა კომუნის წევრებთან ერთად გასულიყო მინდორში.**

1928 წელს კობა ჩოხელთან სტუმრად იმყოფებოდა ახალგაზრდა კონსტატინე ლორთქიფანიძე. უნდოდა შეესწავლა კომუნის ცხოვრება, ამისთვის კი დრო იყო საჭირო. მეოთხე დღეს, დილით, კობა ეუბნება სტუმარს; ჩემო კონსტატინე, სტუმრობის ყავლი გაგივიდაო, ახლა ან უნდა წახვიდე, ან სამუშაოდ გახვიდე მინდორში. კონსტატინე ლორქიფანიძეც იძულებული გახდა დღისით ემუშავა, ღამით კი ჭრაქის შუქზე ეწერა. **1930 წელს დაიბეჭდა კ. ლორთქიფანიძის ნარკვევი „ახალი გლეხები“, რომელიც კომუნარების ცხოვრებას ასახავდა. ამ ნარკვევის სიუჟეტი დაედო საფუძვლად რეჟისორ ლეო ესაკიას ფილმს „ხოლტზე“ რომელიც გადაღებულია სოფელ ზემო ქედში.** (ხოლტი – უცხოური წარმოების ტრაქტორი, რომელსაც შეუძლია იმუშაოს როგორც დაბლობ, ისე მთაგორიან ადგილებში)

ასევე მოექცა კობა ჩოხელი თავის ცოლის დას – ტასოს, რომელიც დიდი ხნის უნახავ დას სტუმრობდა. სამი დღის შემდეგ კობამ გამოუცხადა: ან წადი, ან სამუშაოზე გადი. სტუმარმა იწყინა ასეთი საუბარი და უთხრა: მე და ჩემს დას ჯერ ერთმანეთი არ მოგვისურვილებია და შენ ეხლავე სახლიდან მაგდებო. კობას პასუხი ასეთი იყო: გადი მინდორში და შენ დასთან ერთად იმუშავე, იქ უფრო კარგად მოისურვილებთ ერთმანეთსო და თოხი მისცა ხელში.

**კომუნის წესდება გამორიცხავდა წევრთა შორის ქორწინებას. ამ წესის დამრღვევი სიკვდილით ისჯებოდა, მაგრამ სიყვარულს წინ რა დაუდგება?! ახალგაზრდა ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდათ, გახმაურდა მათი ამბავი. კომუნის მტრებს მეტიც არ უნდოდათ. მათი აზრით: - აშკარად ამას აკეთებენ და ასმეტრიანი საბნის ქვეშ რომ დაწვებიან, რაღა იქნებაო.**

ორ ცეცხლს შუა ჩავარდა კომუნის თავმჯდომარე. ახალგაზრდებს მართლა სასიკვდილოდ ხომ არ გაიმეტებდა, არადა, რა უფლება ჰქონდა კომუნის წესდება დაერღვია.

ბევრი ფიქრის შემდეგ ასეთ გზას დაადგა: მოელაპარაკა მსაჯულებს (კომუნას თავისი სასამართლო ჰქონდა) და სთხოვა უმაღლესი სასჯელი სოფლიდან გაძევებით შეეცვალათ.

**სასამართლო სხდომას ვაჟა-ფშაველას ძმა – ბაჩანაც ესწრებოდა. მაშინ ის ქვემო ქედში მასწავლებლობდა. ყური მოეკრა ამ ამბისთვის და წამოსულიყო, ის გოგო-ბიჭი მართლა არ დაღუპონო. ბაჩანამ ორიოდე სიტყვა თქვა „დამნაშავეთა“ სასარგებლოდ, სასამართლომ მოწყალება მოიღო და დახვრეტა სოფლიდან გაძევებით შეუცვალა.** როდესაც კომუნა კოლმეურნეობად ჩამოყალიბდა, გაძევებულები სოფელს დაუბრუნდნენ და თავიანთი „დანაშაული“ იმით გამოისყიდეს, რომ ხუთი შვილი აღუზარდეს სამშობლოს.

დღითი დღე ძლიერდებოდა კომუნა. კომუნისტებისთვის ორმოც ოთახიანი საცხოვრებელი სახლი ააშენეს, უფასო იყო საჭმელი, სასმელი, ტანსაცმელი, კომუნალური მომსახურება. სოფელში გაიხსნა ბაგა-ბაღი, აბანო, პურის საცხობი, კომუნის წევრს ფული მაშინ ეძლეოდა, როცა კომუნის საქმეზე ან სტუმრად მიდიოდა, ფულიც საკუთარი ჰქონდათ, მასზე ამოტიფრული იყო ასოები ზ.ქ.კ. რაც ნიშნავდა ზემო ქედის კომუნას. ამ ფულს, რასაკვირველია, მხოლოდ კომუნაში ჰქონდა ძალა.

მაგრამ მტერს არ ეძინა. კულაკები გააფთრებით უტევდნენ კომუნას. მათ კობა ჩოხელს შეუთვალეს, ოღონდ ეგ რაღაც კომუნა დაშალე და რამდენიმე ათას სულ ცხვარს შეგიგროვებთ, მოგცემთ და იცხოვრე ბედნიერადო. რა თქმა უნდა, ცივი უარი მიიღეს. ფრთხილობდა კი კობა ჩოხელი, რამდენჯერ უღმერთოდ სცემეს, ხანჯლითაც დაჭრეს, მაგრამ ვერ მოდრიკეს, წარბიც ვერ შეახრევინეს.

ძალით რომ ვერაფერს გახდნენ, კომუნის მტრებმა ჭორის გავრცელება დაიწყეს, ზოგიერთმა გაბრიყვებულემა და დაშინებულმა გლეხმა კომუნიდან გასვლა და თავისი ქონების უკან დაბრუნება მოითხოვა, მაგრამ წედების თანახმად კომუნიდან გასულს არაფერი უბრუნდებოდა. უკმაყოფილო გლეხებმა კობას ფილიპე მახარაძესთან უჩივლეს, რომელიც საქართველოს ცენტრალური კომიტეტის თავჯდომარის პოსტს იკავებდა და ბრალი დასდეს თვითნებობასა და ქონების ჩამორთმევაში.

ფილიპე მახარაძემ მათ განცხადებას წააწერა: თანახმად კანონისა, სასწრაფოდ დაუბრუნდეს ქონება განმცხადებლებს. პასუხი მაცნობეთ!

თავზარი დამეცა, – იგონებდა კობა ჩოხელი – წესდებით წლის დამლევამდე კომუნიდან გასულს ქონება არ უბრუნდებოდა, ფილიპე მახარაძის განკარგულების შესრულება კომუნის წესდების დარღვევას ნიშნავდა, არადა მისი სიტყვა კანონი იყო. ბევრი ვიფიქრე და განცხადებას წავაწერე: ვინაიდან ეს განკარგულება კომუნის კანონს ეწინააღმდეგება, უარი ეთქვას.

კობა ჩოხელს ეგონა ამით ყველაფერი დამთავრდებოდა, მაგრამ მოტყუვდა. ფილიპე მახარაძე ზემო ქედში ჩავიდა, თუმცა კომუნის თავჯდომარე ადგილზე არ დახვდა. იგი სიღნაღში თათბირზე იყო წასული. ფილიპე მახარაძემ კომუნის წესდება ნაიღო (ეს წესდება შემდეგ კობა ჩოხელმა სტალინის სამუშაო მაგიდაზე ნახა) სიღნაღში ავიდა და კობას დაპატიმრების ბრძანება გასცა, თუმცა თავდებში ჩოხელს საქართველოს მინათმოქმედების სახალხო კომისარი საშა

გეგეჭკორი დაუდგა და იგი გაათავისუფლეს. მალე კობა თბილისში დაიბარეს და მისი საკითხი ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიუროზე გაიტანეს. სიტყვა თავდაპირველად ფილიპე მახარაძეს მისცეს. მან სხდომას კომუნის წესდება წაუკითხა და დაუმატა: კობა ჩოხელმა შირაქში ახალი სახელმწიფო შგვიქმნა. მიკვირს, აქამდე დაპატიმრებული რომ არ არისო. შემდეგ გამოვიდა კობა ჩოხელი, დაწვრილებით ისაუბრა წესდების თითოეულ მუხლზე, ბოლოს შეცდომაც აღიარა, ბოდიში მოიხადა და პატიება ითხოვა.

ბიურომ კომისია გამოყო, კობა თბილისში დატოვეს, თვითონ კი ქედში წავიდნენ. დაბრუნების შემდეგ კი განაცხადეს, რომ ჩოხელს დაჭერა კი არა, დახმარება უნდა, რათა კომუნამ იარსებოსო.

ფილიპე მახარაძეს ეს არ ესიამოვნა, განაცხადა, ისე გამოდის, მაგას ამართლებთო. დამშვიდებული წავიდა კობა თავის კომუნაში და უფრო მეტი ენერგიით შეუდგა საქმეს.

**მალე მოსკოვიდან წერილი მიიღო, სტალინი იბარებდა, კონვერტში რკინიგზის ლიტერი (ლიტერი პირობითი ასოთი აღნიშნული დოკუმენტია, რომელიც უფასო ან შეღავათიანი ფასით მგზავრობის უფლებას იძლევა მატარებლით, თვითმფრინავით, გემით) და კრემლის საშვი იდო. კობამ იფიქრა, ალბათ კიდევ რამეში შეცდა, რასაც სტალინი არ აპატიებდა. დარდიანი გაუდგა გზას.**

სტალინმა გულთბილად მიიღო, გამოჰკითხა კომუნის ამბავი, ფილიპე მახარაძესთან მომხდარი ინციდენტიც გაახსენა, მაგიდიდან კომუნის წესდება აიღო, გადაათვალიერა კომუნის ქონების საბუთები და დახმარება აღუთქვა. ბოლოს ჰკითხა: ერთი ეს მითხარი, გული როგორი გაქვს?

– გული კარგი მაქვს, თავი არ მივარგა. თავი რომ კარგი მქონოდა, ეს ამბავიც არ დამემართებოდა.

– სტალინმა ამაზე გულიანად გაიცინა და უთხრა: - გული თუ კარგი გაქვს, ესაა მთავარი. დარჩი აქ და თავს ჩვენ შეგირემონტებთო. გასწავლით, ცოდნას მოგცემთ, შენისთანა კაცი გვჭირდებაო. მაგრამ კობა ჩოხელმა უარი უთხრა, რადგან კომუნის წესდებას ვერ დაარღვევდა.

- მატარებლის სადგურზე კობა სტალინის დაცვის თანამშრომელმა გააცილა, ბილეთი აუღო, ვაგონში დააბინავა, ჯიბეში 30 ჩერნოვეცი (ჩერნოვეცი: ათმანეთიანი, რომელიც ბრუნვაში იყო 1922-1947წწ) ჩაუდო პირადი საჭიროებისათვის და გამოისტუმრა. ეს 30 ჩერნოვეცი რასაკვირველია, კომუნის სალაროში შეიტანა, ცოტა ხნის შემდეგ კობა ჩოხელი ფილიპე მახარაძემ გამოიძახა და დახმარება შესთავაზა. მაშინ ძალიან ჭირდა ტანისამოსი და კობამაც ტანსაცმელი ითხოვა. გამოუწერეს ათი ბარდანა (დიდი ტომარა) ტანსაცმელი, თითო ბარდანა შვიდ ფუთს (ფუთი 16 კგ 300 გრ) იწონიდა, ორი დიდი ურმით ძლივს წაიღეს, დიდიან-პატარიანათ ისე შეიმოსნენ ამ ევროპული ტანსაცმელით, რომ ერთმანეთს ვეღარ ცნობდნენ. ერთი მწყემსი თავის ძაღლს დაეგლიჯა, ვეღარ ეცნო.

- ზემო ქედის კომუნის მსგავსად მეზობელ სოფლებში - არხილოსკალოსა და ქვემო ქედშიც დაარსდა კომუნები. მათ ძალიან უჭირდათ პირველ ხანებში, მაგრამ ზემო ქედის კომუნა ეხმარებოდა უფასოდ უხნავდა, უთესავდა, უმკიდა.

**– 1930 წელს ზემო ქედს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანი მიხა კახიანი ეწვია, ყველას უნდოდა თავისი თვალით ენახა კომუნა და მისი ლეგენდარული თავმჯდომარე. მიხა კახიანმა კობა ჩოხელს მაზრაში გადაყვანა და მთელი კახეთის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობა შესთავაზა, რაზეც მტკიცე უარი მიიღო.**

- მაშინ კომუნის წევრებს ვკითხოთ,- უთხრა კახიანმა, მოიწვიეს კრება, მაგრამ ხალხს ისეთი მტკიცე უარი განუცხადებიათ, რომ - კახიანს ესღა უთქვამს: იყოს ნება თქვენი, ძალით კი არ გართმევთ კობასო. კობას კი უთხრა: შენთან სტალინი და ფილიპე მახარაძე ვერაფერს გახდნენ, მე რა შემიძლიაო.

- მართალია კომუნა საკმაოდ პოპულარული იყო და არსებობის 6 წლის მანძილზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, მაგრამ იგი ნაადრევი ფორმა იყო და არ შეესაბამებოდა არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს. ამიტომ დაშლის გარეშე 1932 წელს გარდაიქმნა კოლმეურნეობად. თავმჯდომარედ სოფელმა ისევ კობა ჩოხელი აირჩია.

- შირაქმა ხომ ბარაქიანი მოსავალი იცოდა, მაგრამ კოლმეურნეობა ვერ აუდიოდა ურმებით მოსავლის მინდვრიდან გამოზიდვას, საჭირო იყო მანქანა, მაგრამ მაშინ სად იყო მანქანა.

- კობას ბევრი აღარ უფიქრია, მოსკოვში ჩავიდა და სერგო ორჯონიკიძეს შესჩივლა გაჭირვება, მან ყურადღებით მოუსმინა და კლიმენტ ვოროშილოვს სთხოვა დახმარება. ვოროშილოვმა სამხედრო ფონდიდან ორი მანქანა გამოუყო და მისცა. რკინიგზის ღია ვაგონებში ჩატვირთა ეს მანქანები და თვითონაც თან გამოჰყვა, ნაწილები არ მოიპარონ გზაშიო.

**– ეს მგზავრობა საბედისწერო გაუხდა, იანვარი იყო, გზაში გაცივდა, ფეხები მოეყინა და ორი თვე საავადმყოფოში გაატარა. ბოლოს მაინც ეს გაუხდა მიზეზი განგრენის დაწყებისა.**

**- დიდი სამამულო ომის დროს კობა ჩოხელის მთავარი საზრუნავი ფრონტი იყო. კოლმეურნეობის სახელით ტანკი შეიძინა და ფრონტზე გააგზავნა, რისთვისაც პირადად სტალინის მადლობა დაიმსახურა.“**

- პენსიაზე გასვლის შემდეგაც აქტიურად მონაწილეობდა საკოლმეურნეო ცხოვრებაში, იყო კოლმეურნეობის საპატიო თავმჯდომარე.

- კონსტანტინე ლორთქიფანიძის თქმისა არ იყოს, სიღარიბესა და მოჯამაგირეობაში დაელია ჩოხელს თავისი ახალგაზრდობა, მაგრამ მისი ცისფერი თვალები ისევე კეთილად იცქირებოდნენ, თითქოს ქვეყანაზე კარგის მეტი არაფერი უნახავთო.

- „ჭიანჭველას არ გასჭყლეტდა ისე შეუბრალებლადო“ რომ იტყვიან, სწორედ კობაზეა ნათქვამი. რამდენჯერ გადაურჩა პირისპირ შეყრილ სიკვდილს, რამდენი ჭირვარამი გამოიარა, მაგრამ ვერაფერმა ვერ შეცვალა მისი ფაქიზი ხასიათი და ადამიანობა.

- კობა ჩოხელი გარდაიცვალა 1971 წელს. მისი ნეშტი მიიბარა მისივე ოფლით გაპოხიერებულმა ზემო ქედის მიწამ. დიდი მწუხარებით დაიტირა სოფელმა, ღრმად მოხუცი ქალები მოთქმით დასტიროდნენ მის ნეშტს: - ჩვენო მამაო, ჩვენო დამპურებელო, ჩვენო ოჯახების ამშენებელო, ჩვენ რომ სახლები დაგვიდგი და შენთვის უბრალო ქოხი ვერ დაიდგიო, შენ მხოლოდ ჩვენზე ზრუნავდი და შენი თავი დავიწყებული გქონდაო, შენს ამაგს დღეს მხოლოდ იმით გიხდით, რომ სხვაგან არსად გიშვებთ, ჩვენს მიწას უნდა მიგაბაროთო. ასევე დაიტირეს კობას მშობლიური სოფლის ჯუღისის წარმომადგენლებმა და გულზე იქაური მიწა დააყარეს.

- წავიდა კობა ჩოხელი უდრტვინველად, უდარდელად, რადგან იცოდა, რომ ზემო ქედი ერთ-ერთი მონინავე სოფელი იყო თავისი კულტურით და აღურიცხველი დოვლათით, იცოდა ზემო ქედს ისეთი ღირსეული მამულიშვილები ეზრდებოდა, ჭირში თუ ლხინში სამშობლოს გამოადგებოდნენ; და სწამდა, მადლიერი სოფელი მასაც ყოველთვის კეთილად მოიგონებდა...

დალი გაღაშვილი

# შირაქის ისტორიიდან

„შირაქში გადმოსახლება პირველად დუშეთის მოსახლეობიდან იწყება. დამადასტურებელი საბუთი აღმოჩნდა შირაქში ჩამოსახლებულ გახუა წიკლაურთან - **„დუშეთის მაზრის ხელისუფლება აძლევს ნებართვას გახუა წიკლაურს, დუშეთის მაზრის მაზრის მცხოვრებს გადასახლდეს სიღნაღის მაზრაში საცხოვრებლად. 1905 წლის აგვისტოს თვე.“** ნებართვას ბოლით გამურული ბეჭედი აქვს დასმული. გახუა წიკლაურთან ერთად ჩამოსახლდა რამდენიმე გლეხი. ზოგი დასახლდა ზემო ქედში, ზოგი არხილოსკალოში, ზოგიც ქვემო ქედში. ზემო ქედსა და არხილოში ძირითადად გუდამაყრის ხეობიდან გადმოსახლებული მაცხოვრებლები დასახლდნენ, ხოლო ქვემო ქედში მეტწილად ფშავის ხეობიდან ჩამოსახლებულები. ჩემი ოჯახი სოფელ ზემო ქედში 1908 წლის მაისის თვეში ჩამოვიდა. ამ დროისათვის სოფელში ცხოვრობდა მიახლოებით 100 კომლი. ამ დროისათვის სოფელს განაგებდა მამასახლისი და სამი ნაფიცი ,,სუდია".

მამასახლისად იყო პეტრე (პატაშურ) ბექაური, „სუდიები“ იყვნენ: ჩოხელი ივანე, ციხელაშვილი ივანე და პატაშური მიხა. სოფელში ამ დროს არ იყო ეკლესია, ბავშვების გასანათლად მღვდელი თუქურმიშიდან (წითელწყაროდან) ჩამოდიოდა და ოჯახებში ნათლავდა ბავშვებს. სოფელში იყო ერთი საწვრილმანო პატარა დუქანი. მედუქნე იყო ბუჩუკური სანდრო, რომელიც საწვრილმანო საქონელთან ერთად ჰყიდიდა ხალხის სამკურნალო პარაშოკებს მალარიისა და სიცხის საწინააღმდეგოდ გამოსაყენებლად. სოფლის თავში არსებობდა ერთი ,,ბაზაზების" ანუ ფართლეულის გასაყიდი შუშანა ნიბლოშვილის დუქანი და იქვე იყო კიდევ ერთი სამიკიტნო დუქანი. ეს წარმოადგენდა იმ დროისათვის სოფლის ,,კეთილდღეობას". მოსახლეობა სრულიად მოწყვეტილი იყო კულტურას და ჯანმრთელობას. სოფელში არც ექიმი იყო და არც მასწავლებელი. მთელ სოფელში ნერა-კითხვის მცოდნე თითო-ოროლა ადამიანი თუ მოიძებნებოდა ისიც იშვიათ შემთხვევაში. სოფელში არსებობდა წყლის პრობლემა. სოფლის ჩრდილოეთის მხარეს ალაზნის მიმართულებით იყო პატარ-პატარა წყაროები : ,,სამწყარო", ,,ბულაყი" და ზემო უბანში ,,მაყვლის წყარო", რომელთა მისასვლელი გზები მხოლოდ საცალფეხო გზებით მიდიოდა წყაროებთან. მოსახლეობა პირველად კოკურებით სამი კილომეტრის მანძილიდან ეზიდებოდნენ სასმელ წყალს, შემდეგ კი სახედრებითა და ცხენზე საკიდარი ბოჭკებით სასმელსაც და სახმარ წყალსაც.

როგორც იქნა რამდენიმე ხნის შემდეგ მოხერხდა წყლებამდე ურმით მისასვლელი გზების გაკეთება, რის შემდეგაც ორთვალა ,,პერეტკებითაც" დაიწყო მოსახლეობამ წყლის ზიდვა. ხარის ,,პერეტკებზე" ზედ ბოჭკებს გავაწყობდით და ასე ვამარაგებდით სასმელი წყლით როგორც მინდვრად სახნავ-სათესზე გასულ ადამიანებს, ასევე ვეზიდებოდით წყალს მუშაპირუტყვის დასაკმაყოფილებლადაც. ასე რომ, წყლით სარგებლობა დიდ გაჭირვებას წარმოადგენდა, განსაკუთრებით საგაზაფხულო და საშემოდგომო ხვნა-თესვის დროს. მოსახლეობა ადრე ღამიანად მიდიოდა წყალზე ,,პერეტკებზე" შედგმული ბოჭკებით, მაგრამ წყლის სიცოტავის გამო ოჩერედში დგომა უხდებოდა თითქმის 4-5 საათი და ასევე უნდა ითქვას რომ მოსახლეობას წყლის ზიდვა უხდებოდა დაახლოებით 15 კილომეტრის გავლით წინდაუკან მიმოსვლით.

პირველად შირაქის სოფლების დასახლების დროს სოფლების მახლობლად ბინადრობდნენ დიდი მეცხვარე ხაზეინები. ,,ყაშების" მხარეზე იყო ცისკრაშვილების, აბაშიძეების, გუგუთაშვილების და მრავალი სხვა მდიდარი მეცხვარის ბინები. გარდა მეცხვარეებისა სოფლებს ავიწროებდნენ თუქურმიშაში და სიჩინოვკაში ჩამოსახლებული რუსები. მათ სარგებლობაში იყო გადაცემული ალაზნის მხარეს ორივე ყურე, ქედის წყაროების ბოლოს მდებარე საძოვრები და სახნავი. ალაზნის სანაპიროზე ქვემოუბანში (ახლანდელ სამთაწყაროში) მთლიანად დასახლებულნი იყვნენ აზერბაიჯანის მოქალაქენი, მუღანლოს მცხოვრებნი, რომელნიც წითელწყაროს რუსების შემდეგ ფლობდნენ ,,ბორის ყურეს", მის ზემოთა ყურეს და ,,ყაშების" საუკეთესო, სასარგებლო მიწების ფართობს. ერთი სიტყვით, ზემო ქედის მოსახლეობა მოწყვეტილი იყო ალაზნის მხარეზე წყლების ქვემოთ მიწით სარგებლობას. თუ წყალს ქვემოთ პირუტყვი მათ ადგილებში გადავიდოდა იჭერდნენ და იმხელა საზღაურს ადებდნენ მოსახლეობას რომ იმის გადახდა ძალიან უჭირდათ და ისედაც გაჭირვებულ ადამიანებს კიდევ უფრო მეტ გაჭირვებაში აგდებდნენ. ქედების მოსახლეობამ კარგად იცოდა შირაქის მინათსარგებლობის საკითხი, მაგრამ ამ საკითხსაც თავკაცები სჭირდებოდა. როგორც ვიცით მთელი შირაქის ველი აღმოსავლეთი მხარე, ზემო ქედის ზემოთა დასახლებიდან მირზაანის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიემართებოდა ,,ბურდომის მთის" მიმართულებით, ყაშების წყლის გადაჭრით და მთელი ივრის პირამდე ალაზნის შესართავის შემოფარგვლით ითვლებოდა სახელმწიფო სანადელო სააგენტოს საზამთრო საძოვრებად, გარდამავალ საძოვრებად შირაქის და დილიჩის ფართობების ჩათვლით. უნდა ავღნიშნოთ რომ აზერბაიჯანის ალიაბადის მცხოვრებნი შემოჭრილნი იყვნენ საქართველოს ტერიტორიაზე. გვიანობამდე ალიაბადელებს ბინები ჰქონდათ დილიჩაში, ახლანდელ ზემო ქედისა და არხილოსკალოს საძოვარ ტერიტორიაზე და ალაზანზე ,,ჩირფილოს ყურეში". ნიკოლოზის მთავრობის გაუქმების შემდეგ ისინი განდევნილ იქნენ და მათგან განთავისუფლდა საქართველოს ტერიტორია. როგორც ვიცით სახელმწიფო სააგენტო საზამთრო საძოვრები და შირაქის ვაკე-გარდამავალი საძოვრები განანილებული იყო დუშეთის, თიანეთის და თელავის მაზრების მომთაბარე პირუტყვის და მცხოვრებთა სარგებლობაში, მაგრამ იმდროინდელი მთავრობა ცნობილია ვის მხარეს და უფლებებს იცავდა, ვის თურგნიდა და ვის გამარჯვებას ანიჭებდა, ამიტომ იყო რომ ქედების მოსახლეობა მიწათსარგებლობით უკმაყოფილო იყო და საშუალება არა ჰქონდა მოეხნა და დაეთესა, არ ეძლეოდა უფლება საჭირო მიწის დამუშავების. 1910 წელს სოფელს მიუზომეს 600 დესეტინა სახნავი მიწა, გარშემო შემოავლეს ,,პრასი" ანუ გზებით შემოფარგლეს და მის გარეთ ფეხს არავის ადგმევინებდნენ. თუ ვინმე ამ ე.წ. ,,პრასის" იქით გადავიდოდა სახნავ-სათიბად მთავრობის მოხელე ,,სტრაჟნიკები" და ჩაფრები მათრახებით როზგავდნენ მოსახლეობას.. 1911 წლამდე სოფ. ზემო ქედს თავკაცობდა მამასახლისი პეტრე (პატაშურ) ბექაური.

1911 წელს თავისი ქალიშვილის გათხოვების დროს მამამ ქალიშვილს მზითევის სახით საჯაროდ ქორწილში გადაულოცა ერთი ძროხა საჩუქრად , თავისი ქალი მან მიათხოვა სანდრო საჩიშვილს. ამის გამო მისი შვილი გაბრო ბექაური დაემუქრა მამას იმ მოტივით რომ მის დაუკითხავად ქალიშვილს ძროხა საჩუქრად გადაულოცა. მუქარა გაბრომ სინამდვილედ აქცია, მამას სახლში მიუვარდა , მძინარე ააყენა, პეტრემ როგორც კი კარები გამოხსნა შვილმა პეტრე ბექაურს მუცელში ხანჯალი ჩაარტყა და სიცოცხლეს გამოასალმა ეს ღირსეული ადამიანი. სწორედ პეტრე (პატაშურ) ბექაურის ხელმძღვანელობით 1910 წელს სოფელში აშენებულ იქნა ეკლესია. პეტრე (პატაშურ) ბექაურის შემდეგ მამასახლისად გრიგოლ ვარდაშოვი დაინიშნა"

სიმონ ჩოხელის ჩანაწერებიდან

# ჭირხლის წყაროზე

„ჭირხლის წყალი“ – წყარო დედოფლისწყაროს სოფელ სამრეკლოში. ამბობენ, ადრე წლებში, ჭირხლივით ცივი იყო და სახელიც ამად დაერქვა. სურათზე ნაჩვენების სახით ნაშენი ბეტონის ნავები მეოცე საუკუნის საქართველოს სოფლებისთვის სახასიათოა. სანამ ყოველ სახლში მილის წყალი მივიდოდა ასეთ წყაროებს ფრიად დიდი მნიშვნელობა ქონდა. აქტიურობა არც მერე დაუკარგავთ. ჭირხლის წყალიც სასურველ სასმელად ითვლებოდა.

ყველას სიკეთეს თავისი მეორე მხარეც ქონდა. მაინცდამაინც იმ წყაროს წყურვილით ბავშვებს გვაგზავნიდნენ. სახლიდან წყარომდე ნახევარი კილომეტრი იყო. უკან კი ზაფხულის სიცხეში უსაშველო აღმართი. ორი ხუთლიტრიანი კოკას თრევა 10 წლის ბავშვისთვის არცთუ სახალისო იყო. გრილი წყალი კი მალიმალ ხან ვის უნდებოდა, ხან ვის.

სტუმრად მოსული ხანდაზმული ნათესავი უმალ ცივ წყალს გიკვეთავდა. ათი წუთის წინ ამოტანილს გიწუნებდნენ და “გაიქე ახალი ცივცივი მაიტანეთი” ისე გავალებდნენ თითქოს გზაში, იმ 15 წუთში სითბოს არ აიღებდა. უფროსს უარს ვერ ეტყოდი და შინაგანად ძაღლივით აღრენილი გზას გავუყვებოდი. უბეხურება ის იყო, მოიტანდი და ხუთი წუთის მოტანილის მიუხედავად მერე სხვა გავალებდა ხელახლა მოტანას. „გაიზარდე და გაიხარე“ ვერაფერი შეღავათი იყო. ასე კი ზედიზედ შეიძლება სამჯერ-ოთხჯერ გაეგზავნეთ.

ყველაფერს თავისი გამოსავალი ქონდა. წყალზე გაგზავნილმა ნახევრად სავსე დოქები წავიღე, არ გადავღვარე. ქუჩის ბოლოში, მოსახვევს მოფარებული მეზობლის ჭიშკართან, ძელსკამზე, გრილში ჩამოვჯექი. წინაუკანა გზის დრო დავისვენე. მერე შუა გზაზე დავდექი და წყლიანი კოკები ერთმანეთს შემოვცხე, ვითომ ხრეშიან გზაზე ფეხი დამისხლტა. ორიოდეჯერ ასე ქცევამ მალიმალ გაგზავნას ამარიდა. ისე სახლისთვის კი როგორც არა სანდოს და მარცხიანს მოწნული “გრაფინკით” და “ემალის ბიდონით” მაგზავნიდნენ. ესენი კი კოკასგან განსხვავებით გზაში სიგრილეს არ ინარჩუნებხნენ.

დასკვნისთვის: ბავშვები შრომას მიაჩვიეთ, მაგრამ უაზრო ახირებებით ნუ დატვირთავთ. თორემ არათუ კოკა წყალს არ მოიტანს, კოკაც არ დაგიბრუნდებათ...

მამა ლევან ფიროსმანაშვილი

# ინფო-ტური ვაშლოვანში

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ვაშლოვანის ეროვნულ ნაკრძალში ტურიზმის სექტორისა და მედიის წარმომადგენლებისთვის ინფო-ტური გამართა. ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.მათი ცნობით, შიდა და შემომყვანი ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები საქართველოს ტურისტულად ნაკლებად ცნობილ ტურისტულ ადგილებს, მარშრუტებსა და ობიექტებს გაეცნენ.

„ახალ ტურისტულ ლოკაციებს ტურ-ოპერატორები შესთავაზებენ როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მოგზაურებს. ტურის მონაწილეებისთვის კასრისწყალში საცხენოსნო ტური მოეწყო. მიჯნის ყურეში გაიმართა ლაშქრობა, სადაც ტურის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, ნაკრძალში მყოფ ცხოველებსა და ფრინველებს დაკვირვებოდნენ. ვაშლოვანის ვიზიტორთა ცენტრში საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლებმა ტურის მონაწილეებს ნაკრძალში უსაფრთხოების წესები გააცნეს, ასევე ინფორმაცია მიაწოდეს ნაკრძალში არსებული ფლორისა და ფაუნის შესახებ. ტურ-ოპერატორებმა და მედიის წარმომადგენლებმა ვაშლოვანის ნაკრძალში ტახის წყალი, შავი მთა, არწივის ხეობა, კაკლის ყურე დაათვალიერეს.

ტურის ფარგლებში სოფელი არხილოსკარი, შირაქის ყოფილი სამხედრო აეროდრომი დაათვალიერეს. ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები ტურ-ოპერატორები და გიდები საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის „Gitoa” — საქართველოს შემომყვან ტურ ოპერატორთა ასოციაციის, “GTA” — საქართველოს ტურიზმის ასოციაციისა და ეკო-ტურიზმის ასოციაციის მიერ შეირჩნენ“,-აღნიშნულია ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ნათია, თეა და ლევან დათუკიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მამის
**დავით (გია) დათუკიშვილის**
გარდაცვალებას. დაიკრძალა 12 ივლისს, ქალაქ დედოფლისწყაროში.

ძმა ილია დათუკიშვილი, რძალი ნანა კიკილაშვილი, ძმისშვილები ნინო და ვახტანგ დათუკიშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან
**გია დათუკიშვილის**
გარდაცვალებას.

რძალი ციცინო, შვილები: მარიკა, მანანა, მაია, არჩილ ჩაფიაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ
**გია (დავით) დათუკიშვილის**
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ შვილების: ლევან, ნათია, თეა და ძმა ილია დათუკიშვილებს, ცოლისძმის გელა ბეგაშვილის ოჯახებს.

ტრისტან ქურხულიშვილი და ზაალ ალხანიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან
**გია დათუკიშვილის**
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია თანაგრძნობას უცხადებს ლელა ბექაურს დედის
**გულო ავსაჯანიშვილ-ბექაურის**
გარდაცვალების გამო.

ვანო, ინგა, ირმა, ეთერ შიოლაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ლევან და ლელა ბექაურებს დედის
**გულო ავსაჯანიშვილ-ბექაურის**
გარდაცვალების გამო.

# სიტყვით ნაქარგი ბილიკები

***დედოფლისწყაროელი წარმატებული პოეტების პოეზიის საღამოებსა თუ კრებულის პრეზენტაციაზე გაზეთ „შირაქს“ არაერთხელ დაუწერია. მაგრამ დღეს განსაკუთრებულ შემთხვევაზე უნდა გიამბოთ. ზემო ქედის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე გიორგი ქენქაძე ჯერ სულ რაღაც 9 წლისაა, მაგრამ უკვე მოახერხა პირველი კრებული გამოეცა. ასაკის მიუხედავად, მას იწვევენ მწერალთა კავშირში, მეცნიერებათა აკადემიაში, პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ა. შ. ამ პატარა ბიჭმა უკვე შეძლო ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გამართულ პოეზიის საღამოებში ჩაერთოს.***

მას შემდეგ, რაც საკუთარი საავტორო კრებული დაბეჭდა, მისი დღის რეჟიმიც დაიტვირთა. კრებულით ხელდამშვენებული ხან საკუთარ საბავშვო ბაღს ეწვია, ხან სოფლის ამბულატორიას, სოფლის კულტურის სახლს, ბიბლიოთეკას...

„ზემო ქედს ნიჭიერი ადამიანები არ ელევა და ეს ყველამ იცის, მაგრამ ეს განსხვავებული შემთხვევაა. გიორგი ძალიან აქტიური და ნიჭიერი ბავშვია. დედამისიც ასეთია და ძალიან გაგვახარეს, როცა კულტურის სახლსა და ბიბლიოთეკას ეწვივნენ. საკუთარი შემოქმედებით დაგვატკბო და კრებულიც გვისახსოვრა. ამაყები ვართ მისით და დიდ წარმატებებს ვუსურვებ ცხოვრებაში“ – უთხრა „შირაქს“ ზემო ქედის კულტურის სახლის ხელმძღვანელმა **მაია ყველაშვილმა.**

„შირაქი“ გიორგის დედას ესაუბრა.

ნათია ქენქაძე: ***„ჩვენ ვცხოვრობთ სოფელ ზემო ქედში, გიორგი მესამე კლასის მოსწავლეა. უკვე მეორე წელია სხვადასხვა პოეტების ლექსებს მხატვრულად კითხულობს. ხშირად ჩავწერთ-ხოლმე ვიდეოს და სოციალურ ქსელში იტვირთება. ასე დაიწყო პატარა ჩანახატების წერაც, ავტვირთეთ სოციალურ ქსელში, რასაც მოჰყვა მოწონებები. ვინაიდან გამოხმაურებები დიდი იყო, გიორგიც არ გაჩერდა და აგრძელებს წერას. როდესაც ქალბატონი მანანა სამყურაშვილის ლექსი „ალო, საქართველოა“ წაიკითხა, ეს ვიდეო მალევე გახდა პოპულარული. შემთხვევით ნახა ავტორმა, ქალბატონი მანანა აღფრთოვანებული დარჩა და გაცნობის სურვილი გამოთქვა. მალევე მიგვიწვია ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც გიორგიმ წაიკითხა ქალბატონ მანანა სამყურაშვილის ლექსი „ალო, საქართველოა“. მათვე განიხილეს გიორგის ჩანაწერები. მოკლედ, დიდი ინტერესი გამოიწვია და დღის განხილვის თემად იქცა. აკადემიის პრეზიდენტმა გულნაზ ხარაიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება და გიორგი აკადემიის წევრად მიიღეს, როგორც ნორჩი ათინათელი. გიორგის ნოველები იბეჭდება აკადემიის ჟურნალ „ათინათში“ იბეჭდება გაზეთ „სახალხო განათლებაში“, „მწერლის გაზეთში“. ქალბატონმა მანანა სამყურაშვილმა შემოგვთავაზა შეგვეგროვებინა ნოველები და გვითხრა, რომ კარგი იქნებოდა, თუ დაიბეჭდებოდა მისი პირველი კრებული. ჩვენც რა თქმა უნდა, უკან არ დავიხიეთ, წიგნის ბეჭდვა ოჯახმა დავაფინანსეთ და ასე დაიბადა გიორგი ქენქაძის პირველი კრებული - „სიტყვით ნაქარგი ბილიკები“. სიმართლე გითხრათ, მანამდე კრებულის გამოცემაზე არ მიფიქრია და ქალბატონი მანანას იდეა იყო, რატომ უნდა დაიკარგოს, აკინძეთ და დაბეჭდეთო. ამის შემდეგ ვიმუშავეთ კრებულზე. იმდენად მოგვეწონა, რომ თუკი სამმავლოდ, უფლის ნებით, წერას ისევ გააგრძელებს, ვეცდებით კიდევ გამოვცეთ. ოჯახი ყველანაირად გვერდში დაუდგება.***

***- როგორი ბავშვია გიორგი, რა ინტერესები აქვს პატარაობიდან?***

- ოცნებობს ექიმობაზე, ძალიან უნდა დამსახურებული ექიმი გახდეს. ასევე, სურვილი აქვს გახსნას უფასო კლინიკა, სადაც დაეხმარება გაჭირვებულ ადამიანებს, ვინც თანხის გამო ვერ მკურნალობს. კულტურის სახლში ცეკვაზეც დადის. მონაწილეობს „ეტალონში“, „კინგსის“ კონკურსში, მოპოვებული აქვს დიპლომები, სერტიფიკატები, მედლები... ძალიან აქტიური ბავშვია. საოჯახო საქმეებში ყოველთვის გვეხმარება, სოფლის მეურნეობის წარმოებაში ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს.

**– როგორც ვიცი, ჩოხოსანთა კავშირის წევრად მიიღეს...**

– დიახ, რაც შეეხება ჩოხოსნებს, გიორგის დეიდა არის ბათუმში ჩოხოსნების წევრი, იქედან, აჭარა ლაზეთის სადროშოს ხელმძღვანელი ბატონი თენგიზ თავდგირიძე დაინტერესდა გიორგის ლექსებით. სოციალური ქსელით ნახა მისი ვიდეოჩანაწერები და




მოეწონა. სატელეფონო საუბარი ჰქონდა გიორგისთან. ამ ზაფხულს ვგეგმავთ ჩასვლას ბათუმში, სადაც მოხდებოდა გიორგის ჩოხოსნად კურთხევა. მაგრამ პროცესი უფრო დაჩქარდა. ბატონი თენგიზი დაუკავშირდა ჩვენს რაიონში ჩოხოსანთა კავშირის ხელმძღვანელს ბატონ დიმიტრი დათუკიშვილს და გამოთქვეს სურვილი, რომ გაწევრიანებულიყო მათთან. ჩვენც გვქონდა სატელეფონო საუბარი, ამიერიდან გიორგი ჩაერთვება დედოფლისწყაროს რაიონის ჩოხოსნების მიერ დაგეგმილ აქტივობებში, როგორც ნორჩი ჩოხოსანი. ბატონმა დიმიტრიმ აღნიშნა, რომ დღეს დეფიციტია ასეთი ბავშვები, რომლებიც დაინტერესებული იქნებიან პოეზიით და მხატვრული კითხვით. ჩოხოსანთა კავშირი მზადაა ხელი შეუწყოს ასეთ ბავშვებს. დიდი მადლობა გვინდა ვუთხრათ თქვენს გაზეთსაც და ყველას, გამოხატული ინტერესისა და გიორგის მხარდაჭერისთვის. რა თქმა უნდა, ყველა ლექსი, რომელიც წაკითხული აქვს, უმეტესწილად არის საქართველოზე, როგორ გამოვყო -ჩემთვის ყველა ძვირფასია.

ილია მარტყოფლიშვილი

* * *

**ასაკის სიმცირის მიუხედავად, გიორგის უკვე მრავლად აქვს მედლები, დიპლომები და სიგელები. გაზეთი „შირაქი“ გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს გიორგი ქენქაძის შემოქმედებიდან, რომელიც კრებულშია შესული.**

## მეგობრობის ძალა

მთის ფერდობზე შეფენილი ხეები ამაყად გადაჰყურებდნენ არემარეს.

ერთ მშვენიერ დღეს მათ შენიშნეს თავიანთკენ მიმავალი კაცი, რომელსაც ხელში ნაჯახი ეჭირა.

დაღონდნენ ხეები და ერთმანეთში საუბარი გაბეს, ალბათ ჩვენთან მოდის. რა ვქნათ? მეგობრები ერთმანეთს ანუგეშებდნენ. თუ ერთმანეთს არ მივატოვებთ, ვერაფერს დაგვაკლებს, ხეები ერთმანეთს მაგრად ჩავეკიდოთო და მართლაც ასე მოიქცნენ.

მიუახლოვდა ადამიანი, შეათვალიერა ხეები და შუაში მდგომი ხე მოეწონა. სნორედ ისეთია, მე რომ მჭირდება და გამომადგებაო და დაჰკრა ცული. მოჭრა ხე, მაგრამ საოცარი იცით რა იყო? ხე არ ნაიქცა... გაოცებულმა ყველა მხრიდან შემოუარა ხეს. ხე მოჭრილია და ვერ გაეგო რა იჭერდა, რატომ არ ნაიქცა.

ხემოთ ახედა ხეს და სასნაული დაინახა. გვერდით მდგომ ხეებს მჭიდროდ ჩაეჭიდა ტოტები და არ უშვებდნენ.

ადამიანს თვალებში ცრემლები ჩაუდგა და იქაურობას გაეცალა...

## ჩემპიონი ქათამი

ერთ ფერმაში ერთი ქათამი ძალიან განსხვავებული იყო და მას სხვა დანარჩენებმა მეტიჩარა შეარქვეს. მეტიჩარა რამდენიმე საათი გაუჩინარდებოდა ხოლმე და შემდეგ გამოჩნდებოდა. ასე გრძელდებოდა კარგა ხანს. დაინტერესდნენ დანარჩენები და ჰკითხეს:

– მეტიჩარა, სად დადიხარ, რას გვიმალავ?

– ჩემო კარგებო, ცოტაც მოიცადეთ და ყველაფერს გაიგებთო.

და აი ეს დღეც დადგა. მეტიჩარამ ყველანი შეკრიბა: აბა მეგობრებო, ჩემი გაუჩინარების საიდუმლო უნდა გითხრათო.

მეტიჩარამ ფეხით კვერცხი აიღო და თამაში დაიწყო. გასაოცარი რამე იყო. როგორ კენწლავდა კვერცხს, ხან ერთ ფრთაზე გადაიგორებდა, ხან მეორე ფრთაზე, ხანაც თავზე, საოვარ მოძრაობებს აკეთებდა. ისეთი ლამაზი სანახავი იყო, აქეთ იქედან შეძახილები გაისმა.

– ყოჩაღ მეტიჩარა, ყოჩაღ! ჩემპიონი ხარ!...

მეტიჩარაც არ ჩერდებოდა და კვერცხს ხან გულზე იგორებდა, ხან მხრებზე, ხან ტავზე იჩერებდა. გაოგნებულმა ქათმებმა ხვენა დაუწყეს. გვასწავლეთ.

დათანხმდა მეტიჩარა და იმ დღის შემდეგ ყოველდღე ამეცადინებდა მეგობრებს. შემდეგ ყველანი ერთად თამაშობდნენ და მხიარულად ატარებდნენ დროს...

## წერილი უკრაინელ თანატოლებს

გამარჯობა, ჩემთვის უცნობო მეგობრებო, დეგო და ძმებო, უკრაინელებო.

როგორ დავიწყო საუბარი, მიჭირს, ვეცნობი თქვენს დღევანდელ მდგომარეობას. ვიცი, რომ თქვენთან ომია და მშვიდად ყოფნის უფლება არ გაქვთ.

თქვენთან ომის ქარცეცხლია, ყველაფერი ცეცხლის ალშია გახვეული. თქვენთვის ფერადი ფერები აღარ არსებობს. ყველაფერი შიშისფერია. განვიცდი თქვენს მდგომარეობას, გითანგრძნობთ.

ჯერ პატარა ვარ, შეიძლება ბევრი რამ არ მინახავს, მაგრამ დღეს რასაც ვუყურებ, ეს საშინელებაა, ეს ომია. ვხედავ, ჩემი თანატოლები ენირებიან, იღუპება ბევრი უდანაშაულო ადამიანი, უმეტეს მოხუცები.

რატომ? რატომ ხდება ამდენი ბოროტება. გამაგრდით, ცოტაც გაუძეხლით, მე მჯერა, ყველაფერი დალაგდება და ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდებით.

მე რა შემიძლია თქვენთვის გავაკეთო, ჯერ პატარა ვარ, შეიძლება ბევრი რამის გაკეთებაც მინდა. მინდა გულით დაგიდგეთ გვერდით.

ერთი, რისი გაკეთებაც შემიძლია – ყოველდღე ვილოცებ თქვენთვის! დამიჯერეთ, უფალი დიდია, ყველაფერი კარგად იქნება.

თქვენთვისაც გათენდება ნათელი დღე. მინდა მჯეროდეს და მჯერავს, ყოველთვის ბოროტებას სიკეთე დაძლევს. მიყვარხართ, გითანგრძნობთ.

გიორგი ქენქაძე, 9 წლის
(ზემო ქედი)

## ამინდი

**დედოფლისწყარო**

| | ორშაბათი 18.07 | სამშაბათი 19.07 | ოთხშაბათი 20.07 | ხუთშაბათი 21.07 | პარასკევი 22.07 | შაბათი 23.07 | კვირა 24.07 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | 35° | 32° | 33 ° | 28 ° | 29° | 28° | 29° |
| ღამე | 27° | 23° | 23 ° | 20 ° | 20 ° | 19° | 20 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.